ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 დმ ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისაწერთი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო“ ქალაქში და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—375 მან. ცალკე №—15 მან.

ფასი 15 მან.

წელიწადი მეექვსე.

შაბათი, ნოემბრისთვის 20, 1920

№ 153

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი ჭურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

ნოე გლახუნის ძე და მარიამ ივანეს ასული სიხარულიძენი შვილებით—ვლადიმერ, ნოე და ტარიელი დიდი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ რომ კვირას 21 ამა ნოემბერს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება სრულიად საქართველოს კათოლიკოსის მიერ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და ტრაღიკულათ გარდაცვალებულ მათ დაუვიწყარ შვილის და ძმის

ავთანდილის

სულის მოსახსენებელთ. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე (ახალი დროით). 2—1 3289

ნესტორ გლახუნის ძე და ოლღა არჯევანიძის ასული სიხარულიძენი შვილებით, მინადორა, ლუბა, ემელიანე, კატო, ქეთო და მარგარიტათი დიდი მწუხარებით აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ. რომ კვირას 21 ამა ნოემბერს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება სრულიად საქართველოს კათოლიკოზის მიერ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოთ და ტრაღიკულათ გარდაცვალებულის მათ დაუვიწყარ ძმის წულის და ბიძაშვილის

ავთანდილის

სულის მოსახსენებლათ. წირვის დასაწყისი დილით 10 საათზე (ახალი დროით) 2—1 3289

გიორგი იოსების ძე და სოფიო მიხეილის ასული, იოსები ლაზარეს ძე და მართა გლახუნის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ტრაღიკულად დაღუპული პირველთა ძმისა და მეორეთა ძმის შვილის

ავთანდილ სიხარულიძის

ორმოცი დღის აღსანიშნავად პანაშვიდი გადახდილი იქნება დიდუბის ეკლესიაში კვირას, ნოემბრის 21 ს, დილის 10 საათზე (ახალი დროით.) 1—3290—1.

კვირას 21 ამა ნოემბერს ს. საქარის (შორაპნის მაზრა) მაცხოვრის ეკლესიაში ექვსი თვის შესრულების გამო გადახდილი იქნება წირვა და შემდეგ პანაშვიდი უდროოთ გარდაცვალებულთა

ელიჩკა და მარუსიას

სულის მოსახსენებლათ, რასაც ღრმათ დამწუხარებულნი მშობლები მათი არჩილ სამსონის-ძე და ალექსანდრა სიმონის ასული აბაშიძენი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ. 1—1 3287

ღრმად დამწუხრებულნი დავით ალექსის ძე და პელაგია მიხეილის ასული დავითაშვილები, შვილები მათი ელენე, ნინა, მიხეილი და მერცია აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ 18 ამა ნოემბერს, დილით გარდაიცვალა საყვარელი პირველის ძმის წული, მეორის მაზლის წული და დანარჩენთა ბიძაშვილი სტუდენტი

გიორგი (გოგა) ზაქარიას-ძე დავით შვილი.

პანაშვიდები საღამოს 6 საათზე. წირვა და დაკრძალვა შაბათს, ნოემბრის 20-ს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 9 ნახ. საათზე ბინიდან—ანდრეევის ქ., № 22. 3287. 1.

საუკეთესო საჩუქარი ბავშვებისათვის!

საქართ. მასწავლებელთა კავშირის გამოცემანი.



გამოვიდა და იყიდება წიგნის ყველა მაღაზიებში

„ძერწვა“—სურათებიანი სახელმძღვანელო ბავშთა მხატვრული ნიჭის გასავითარებლად. წიგნში ახსნილია, თუ როგორ უნდა მომზადდეს თიხა. ფასი—70 მ. გაგზავნით.

„სამი კნუტი“—პატარა ზღაპარი პატარა ბავშვებისათვის, დასურათებული—ფ. 40 მ.

მალე გამოვა გასასყიდად: „ვინაა ყველაზე ძლიერი?“, „კურდღელი და მისი მეგობრები?“, „არწივი და ყვავი“,—ყველა ეს ზღაპრები დასურათებულია. მისამართი: საქ. მასწავლებელთა კავშირის წიგნის მაღაზია, პლეხანოვის პროსპ. № 53, (ცენტრალ. ფოსტის პირდაპირ.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

შაბათს, 20 ნოემბერს
მუშებისთვის
ალი

კვირას, 21 ნოემბერს
კოპპელია

ორშაბათს, 22 ნოემბერს
მეორეთ ლალატი

ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, ნოემბრის 20-ს და სამშაბათს, ნოემბრის 23-ს

უგვირგვინო მეფენი

ალ. შანშიაშვილისა

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა

რეჟისორი: აკაკი ფალავა.

ბილეთები კასაში

კვირას, ნოემბრის 21 ს

მსხვერპლი — ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა.
რეჟისორი ალ. წუწუნავა. ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

1920 წ. ნოემბრის 28-ს

დანიშნულია

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება

ცენტრალურ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერებისა (ცენტრობანკის).

კრება შესდგება დღის 12 საათზე ცენტრობანკის შენობაში (პუშკინის ქუჩა № 3.

ცენტრობანკის გამგეობა.

გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი

იძლევა გაკვეთილებს

სასურველია დილის საათები

მისამართი ეროვნ. დემოკრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5)

ტელეფ. № 3-02 გამოელაპარაკეთ 10-2 საათამდე.

5 დეკემბერს 1920 წელს ქ. თბილისში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე ეროვნული საბჭოს ქუჩაზე (ყოფილი ფრეილინისა) ს. № 11 დილის 8 ს. საღამოს 6 საათამდის (საათი ძველი დროით) მოხდება დამატებითი

არჩევნები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

9 წევრისა და 4 კანდიდატისა ქ. თბილისისა, ბორჩალოს და თბილისის მაზრების საარჩევნო ოლქისა, 1919 წლის სიებით. ამომრჩეველთა სიების განხილვა შეიძლება პალატის ბინაზე ყოველ დღე დილის 9 ს.-2 საათამდის (ძველი დროით). საარჩევნო უფლება აქვთ, თანახმად პალატის წესდების მე-10 §-სა, მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომთ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო

გაზ. „საქართველო“-ს

აგენტების საყურადღებოდ

თელავი, ყვირილა, გორი, ახალსენაკი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.

გაზ. „საქართველო“-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები: **წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.**

რუსეთის პრეტენზიები.

მგონი გასაგები უნდა იყოს ყველასთვის, ვინც ცოტად თუ ბევრად ერკვევა საერთაშორისო უფლების ანბანში, რომ საქართველოს სუვერენიტეტის შეურაცმყოფელ განზრახვებს თავდაპირველად უნდა წინააღუდგეს თვით საქართველო, უკეთუ იგი შეიცავს ყველა ელემენტებს სახელმწიფოებრიობისას. სხვა რომელიმე სახელმწიფოს, შეიძლება, არ ესიამოვნოს ესა თუ ის აქტი ჩვენს შესახებ, მაგრამ სხვების გამოხმაურება განსაზღვრულ ფორმით და პირობებით არის მხოლოდ მისაღები.

უკანასკნელ დროს საბჭოთა რუსეთი უჩვეულოდ „დაინტერესდა“ საქართველოს ვითარებით მას შემდგომ, რაც კომუნისტური მოსკოვი „მშვიდობიანათ“ დაეპატრონა აზერბაიჯანს და „გააწითლა“ იგი, საქართველოსაო არ აკლიბს „მოწყალე“ თვალს და ამა თუ იმ სახით მონაწილეობს მის საკითხის გარდაწყვეტაში.

პირველი გამოსვლა მოსკოვისა მეგობრული იყო: მაისის ხელშეკრულებით რუსეთი უარს აცხადებს საქართველოზე და სცნობს მას იურიდიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში რუსეთმა არ გაამართლა თავისი დაპირებანი და წითელი არმიელები მისი დღესაც თარეშობენ საქართველოს განუყოფელ ნაწილში-ზაქათლის ოლქში,— აშკარა დარღვევას საქართველოს დამოუკიდებლობის იდეისას მაინც ადგილი არა ჰქონია ამ ხნობამდი.

ჩვენ წინ გვიძევს უცნაური დოკუმენტი: საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის ჩიჩერინის ნოტა-პროტესტი ინგლისის მთავრობისადმი!

რაშია საქმე?

ბოლშევიკებს სადღაც და ვიღაცისაგან გაუგიათ, ანუ, როგორც გადმოგვცემს ნოტა, „ცნობა მიუღიათ“, რომ ინგლისს განზრახვა აქვს **საქართველოს საშუალებით** (კურსივი ჩვენია) ბათომი ჩაიგდოს თავის ხელში. ასეთს ცნობას საგონებელში ჩაუგდია საბჭოთა მთავრობა, რომელიც პროტესტს უთვლის ინგლისს „რუსეთის ქალაქის დაკავების განზრახვის გამო“

ჩვენ მრავალი საბუთი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ კომმუნისტების პოლიტიკა საზოგადოთ მოკლებულია მართებულობას და ეთიკურ მომენტს; ისიც იციან ყველამ, ვისაც კი ჰქონია რაიმე დამოკიდებულება ბოლშევიკებთან რომ მათი სიტყვა სხვა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარი! მაგრამ ცინიკობასაც რომ საზღვარი უნდა ჰქონდე: მაისის ხელშეკრულობის ძალით რუსეთი არამც თუ უარს ამბობს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე, ის პირიქით სახელმწიფო საზღვრების შემოფარგვლაშიაც დახმარებას გვიწევს და სწორედ იმ ბათომს, რომელსაც მოსკოვი ჩიჩერინის ნოტაში რუსეთის ქალაქად აცხადებს, საქართველოს უდავო ქალაქად სთვლიდა.

„ფრონტების“ სიმრავლემ მთლად აუბნია დავთარი კომმუნისტებს და ეხლაც მათ არეულ გონებას ახალი „კავკასიის ფრონტი“ ელანდება, ალბად, ანუ ...საქართველო წინააღმდეგ

რახვებს ატარებს თავის გულში ინგლისი: შესაძლებელია მას უნდოდეს ბათომის, თბილისის, ბაქოს, მოსკოვის და სხვა ქალაქების დაპყრობაც, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ ამ „ფარულ განზრახვებს“ კონკრეტიული გამოსახულობა უნდა მიეღოთ, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მათი დაფასება და, მეორეც, ყოვლად შეუწყნარებელია უფლებრივი თვალსხედვით იმ მოტივებით გამოსვლა, რასაც ადგილი აქვს ჩიჩერინის ნოტაში! ეტყობა „კომმუნისტურ სახარებას“ მთლად არ ჩაუკლავს რუსობის „დიდმპყრობელობის იდეა“ და ჩიჩერინ-ლენინი ისევე ეტრფიან თავის სახელმწიფოს რესტავრაციას კვლავინდებურ სახისებრ, როგორც რუსეთის იმპერიალისტური წრეები...

საქართველო სუვერენული სახელმწიფოა. მას ფაქტიურად ანგარიშს უწევს მთელი კულტურული კაცობრიობა. მის დამოუკიდებლობის ფორმალურ, იურიდიულ ცნობისათვის ყველა ზომებია მიღებული: ზოგ სახელმწიფოებმა კიდევაც სცნეს ეს დამოუკიდებლობა და ყველა საბუთები და ნიშნები არის იმისაც, რომ დანარჩენი სახელმწიფონიც კმაყოფილებით დასთანხმდებიან საქართველოს მიღებაზე სუვერენულ სახელმწიფოთა ოჯახში, როგორც მისი თანაბარი წევრისას.

არსებითად საქართველოს სახელმწიფოებრიობა შესრულებულ ფაქტად უნდა იქნეს აღიარებული! შინაგანი კონსტრუქცია სავსებით გამოჰხატავს სახელმწიფოს სახეს და ეს გარემოება ევროპისათვისაც არ დარჩა უჩინარი. ევროპის ხელმძღვანელი წრეები დღითი დღე რწმუნდებიან, რომ ქართველი ხალხი ტრადიციული ხალისით შეუდგა სახელმწიფო აღმშენებლობას და თვალსაჩინო შედეგებსაც მიაღწია ამ მხრივ. დღე დღეზე მოსალოდნელია ევროპის ოფიციალური დასტური ჩვენს თვითმყოფობაზე, ჩვენ მივიწვიეს ერთა ლიგაში და აი ამ დროს გამოდის ისევ ის „ძველი მპყრობელი“, იმპერიალისტური რუსეთი და თავის პრეტენზიებს აცხადებს საქართველოს მიწაწყალზე! რაღა განსხვავებაა კომმუნისტსა და აბსოლიუტის შორის? „ძველს სიმღერას ახალ ჰანგებით“ გადმოგვცემენ რუსეთის დღევანდელი ხელმძღვანელნი...

საბჭოთა რუსეთის საგარეო კომისარს თავისი ნოტა პროტესტი საქართველოს მთავრობისთვისაც წარუდგენია. ეჭვი არა გვაქვს, ეს იმპერიალისტურ სულისკვეთების ნაყოფი შესაფერისად დაფასდება ჩვენი მმართველობის მიერ და ღირსეული პასუხით ეგრძნობინება მოსკოველ დიდმპყრობელებს, რომ საქართველოს ტერიტორიის ხელშეუხებლობას დარაჯად უდგია თვით ქართველი ხალხი...

„ახალგორის ინკვიზიცია“.

ამ სათაურით „საქართველოს“ გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა ჩვენი თანამშრომლის, ბ-ნი მოხუცის წერილი. ამ წერილში მოთხრობილი ამბავი გზარავს ადამიანს, სირცხვილით გწვავს, რომ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლი-

დღეს:

ანგორისა და სტამბოლის მთავრობას შორის მოლაპარაკება სწარმოებს...

ავსტრიის სოც.-დემოკრატიული პარტია მეორე ინტერნაციონალიდან გამოვიდა და მესამეშიც არ შევიდა.

ფინეთში მთავრობის კრიზისია.

საბერძნეთში მთავრობის შედგენა რასალს მიანდეს.

სომხეთის პარლამენტმა კაჩაზნუნს მიანდო პერსონალურ საფუძველზე სომხეთის მთავრობის შედგენა.

სომხეთსა და ოსმალეთს შორის ომი შესწყდა და ორივე მხარე გუმბრში საზავო მოლაპარაკებას აწარმოებენ.

წერილები:

მეთაური: რუსეთის პრეტენზიები.
ახალგორის ინკვიზიცია.
პრესის მაგიერ.
ჩვენი კორესპონდენტები: ლანჩხუთი.

თუ დანიშნული პირები ბუდობენ, რომელთაც დაკარგული აქვთ ყოველგვარი ადამიანობა და პირუტყვზედ დაბლა დაცემულან! ამგვარი არამზადები და ნაძირალები ხალხში ბატონებად დაბრძანდებიან, ტყავს აძრობენ მას, სინდისს და ნამუსს უმწიკვლებენ. ასეთი ვაჟბატონები დაუსჯელად მრავლად დაბრძანდებიან. ხალხს მათი ეშინია და ხმას ვერ იღებს. მაგრამ სამწუხარო და საუბედურო ის არის, რომ როდესაც ეს არამზადანი ადმინისტრაციას ხელში ჩაუვარდება და საპყრობილეში თავს ამოყოფენ, ციხის ადმინისტრაციას იმდენი მეთვალყურეობა არ ყოფნის რომ ისინი არ გაიქცნენ. ახალგორის ინკვიზიტორების დაჭერა შეიძლება იმის წყალობაც იყოს, რომ ეს საცოდავი სხვერპლი, მკერავი ყოფილა ერთი დიდი თანამდებობის კაცის ცოლთან. მაგრამ ვისი წყალობაა, რომ ეს მხეცნი ციხიდან გაიქცნენ, რომ მათ კიდევ თავი აიშვეს თავიანთი საზიზღარი სულის ვნებისათვის ახალ-ახალი სხვერპლების შესაწირავად?!

მოხუცის წერილში მოთხრობილი საშინელება გვიჩვენებს, თუ რა ერობის მოღვაწეები, რა კომისრები, რა მილიციონერები, რა ექიმები, რა ღვდლები და რა მომრიგებელი მოსამართლენი გვყავს ამ ჟამად სოფლებში და პატარა ქალაქებში. ერთი ღვთისნიერი ადამიანი არ გამოჩნდა ახალგორსა და დუშეთში, რომელსაც ხელი გაეწვდინა ამ გაწვალებულ, ინკვიზიციაში წამებულ საბრალო ქალისათვის. არ აღმოჩნდა ჯერ ადამიანიც კი მოქალაქეობრივად გამბედავი, რომ ხმა აემაღლა და გაეკიცხა ეს საზიზღარი საქციელი. რატომ? რად მოხდა ასე? იმიტომ რომ ერობებში და ერობო მილიციაში თავი მოუყრია ძველ ტერორისტებს, ყაჩაღებს, ძველ სტრაჟნიკებს—ქვეყნის ნაძირალებს, რომელთაც მთელი მართვა-გამგეობა ხელთ უდიათ და ვაი იმისი ბრალი, ვინც მათ წინააღმდეგ ხმას ამოიღებს.

პრესის მაგიერ.

ვისაც სურს ,,რიგიანი'' ხალხის კამათი და ლექსიკონი იგემოს, იმან უნდა წაიკითხოს ,,სახალხო საქმის'' გუშინდელი ,,ქართული პრესსა''!

რამ დაუკარგა ამ ხალხს თავისდაჭერის ძალა? იმან ხომ არა, რომ ჩვენ მას ყურადღება არ მივაქციეთ და ერთ და იმავე საკამათო საგანზე პასუხი გავეცით „ერთობას'', რომელმაც საკითხი არსებითად დააყენა, იმსჯელა ლოღიკურად და არგუმენტებით?! ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო პასუხის გაცემა ამგვარ მოპირდაპირისათვის და მისი ძირითადი დებულებების დარღვევა, ვიდრე ,,სახალხო საქმის'' მიზეზიან წამოკნავილზე პასუხის გაცემა.

თქვენ რომ საგანი გაინტერესებდეთ, მაშინ უბრალო აზრს ერთ სვეტ ლანძღვა გინებაში არ ჩაახრჩობდით.

მაგრამ ,,კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების!''

ჯერ გაიწმინდენით და მერე გვეკამათენით!

ჩვენმა ფრაქციამ დამფ. კრების 5 ნოემბრის სხდომაზედ მთავრობას მიუთითა ზოგიერთ შეცდომაზე, რომელიც საბედისწერო იყო ჩვენი თავდაცვისა და ტერიტორიის საქმისათვის. მოვითხოვეთ გარანტიები, რომ ეს არ განმეორებულიყო. აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ ზოგიერთი სამინისტრო უკვე სახელგატეხილი იყო საზოგადოების თვალში და მოვითხოვეთ მთავრობის განახლებაც, იმ მიზნით რომ მთავრობის გარშემო მოუკრებლივ არ დარჩენილიყო არც ერთი ცოცხალი ელემენტი და რომ თავდაცვის საქმე უფრო საიმედო ყოფილიყო. ამით მთავრობას გაფრთხილება მივეცით. იმ დღეს ამის მეტი საჭირო არარა. უნდა გვეცადნა იმისთვის, ამას ანგარიშს გაუწევდნენ თუ არა.

მთავრობის მოხსენებაში მოყვანილი იყო თავდაცვის წინასწარი ზომები. ეს ისეთი ზომებია, რომელსაც უნივერსალური ხასიათი აქვს ყოველი თავდაცვის დროს, რომელიც, ასე ვსთქვათ, შესავალია თავდაცვის საქმეში.

ამგვარი ზომების მიღებას ფრაქციის ორატორი თავის სიტყვაში მოითხოვდა; ცხადია ის წინააღმდეგი ვერ იქნებოდა, რომ ამგვარი ზომების მიღება გაგრძე-

სოც.-დემოკრატიული ფრაქციის რეზოლუცია სწორედ ამ ორ მომენტს შეიცავდა. როდესაც ჩვენ ამ რეზოლუციას ხმა მივეცით, ჩვენი ფრაქციის ორატორის აზრი დავადასტურეთ მხოლოდ.

მაგრამ ჩვენ უცდიდით ჩვენი მეორე მოთხოვნილების შედეგებს, მთავრობის განახლებას, იმ სახელგატეხილი მინისტრების წასვლას, რომელთა დარჩენა საზიანო იქნებოდა საზოგადოებრივი აზრის გამრთელებისთვის.

ამ საგანზე სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას მღელვარე სხდომები აქვს. კამათია იმაზედ, ვინ წავიდეს და ვინ არა და ვის როგორ შეუცვალონ პორტფელები. დღეს ასეა, ხვალ ისე...

ეს ცოცხალი საქმეა, შინაური ძალთა განწყობილების საქმე; საქმე კამათის, არგუმენტების და ერთმანეთის დარწმუნებისა... ყველა ამის შედეგათ ირკვევა, რომ მთავრობის ერთი-ორი ყველაზედ გავლენიანი პირი გადაჭრით მხარს უჭერს იმ სამინისტროს, რომლის წინააღმდეგ პრესა და საზოგადოება იყო აჯანყებული!..

ამგვარად გამოირკვა პასუხი ჩვენი ფრაქციის მეორე შენიშვნა-მოთხოვნილებაზედ. ეს პასუხი იყო უარყოფითი.

ამით გამოირკვა, რომ მთელი მთავრობა იზიარებდა ერაძის სამინისტროს საქმეებს, კახელაძე-ყიასაშვილების ,,მოღვაწეობას„!

აქედან ცხადია, თუ რანაირი უნდა ყოფილიყო ჩვენი პოზიცია. რაკი ჩვენთვის მიუღებელი იყო ერაძის დარჩენა თავის პოსტზე და რაკი მას გვერდში ამოუდგა მთელი მთავრობა და ერაძის სამინისტროს ცოდვებს ამით ფრთები გადააფარა,—ჩვენთვის მთელი მთავრობაც მიუღებელი შეიქმნა, როგორც ზნეობრივად და პოლიტიკურად გამზიარებელი ერაძის საქმიანობის.

ჩვენ ის მოვითხოვეთ 13 ნოემბრის მოწინავე წერილში. რომ 5 ნოემბრიდან 13-ამდე, გამორკვეულიყო, რომ უვარგისი და სახელგატეხილი მინისტრები მიდიოდნენ,—ჩვენ ამას არ დავწერდით.

ყოველივე ამაში დაცულია ლოღიკა აზროვნებისა და მოქმედების.

ჩვენ ყოველდღიურ ბრძოლაში ვართ ჩაბმული; ჩვენი შეტევა, შეჩერება თუ კომპრომისი დამოკიდებულია მოპირდაპირის მოქმედებაზედ. 5-დან 13-ამდე, კარგა მანძილია და ეს მანძილი ამოვსებულია ცოცხალი ბრძოლის მასალითა და ამ ორ თარიღ შუა ლოღიკურად და პოლიტიკურად გამართლებულია ისიც, რაც დავსწერეთ და ისიც გამართლებული იქნებოდა რომ მთელი მთავრობის გადადგომა არ მოგვეთხოვა, ერთიც და მეორეც მიზეზობრივად დამოკიდებულია მოპირდაპირის პოზიციაზედ.

ჩვენში საჭიროა ყველაფრის „დედაენური“ ახსნა. საჭირო ყოფილა ასეთი „დედა-ენა“ „სახალხოს“ ტვინის გასამართავადაც.

ჩვენ კი გვეგონა, რომ აზროვნების ამ პროცესის გადმოშლას აგვარიდებდა „სახალხო საქმე“ და გავჩუმდით. მაგრამ მოწაფეთა პარტია ჯერ კიდევ მოწაფეობას ვერ გასცილებია. მან აიღო 5 და 13-ს შუა მანძილი გამოაცალიერა (მას საზოგადოთ სიცალიერე უყვარს), მოჯილობს ბავშის პირდაპირი ლოღიკით, კაპასობს და ილანძღება...

თამბაქო და საგარეო ვაჭრობა.

დიდი საიდუმლოებ. არის მოცული ყველა იმ დაწესებულების მოქმედება, რომელთა მიზანსა და დანიშნულებას ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური ცხოვრების მოგვარება შეადგენს ამიტომ, ძნელია უბრალო მოქალაქესათვის ამ უწყებათა მოღვაწეობის შესახებ საერთოდ სწორი და მართალი სურათის დახატვა. მაგრამ სადაც საიდუმლოება წესად არის გადასული და იგი დამალვას ესაზღვრება, იქ ალბათ, რაღაც მართლაც დასამალავიც ყოფილა; ბევრ რამეში მმართველი წრე სიფრთხილისაგან საზოგადოებრივ აზრსა და დაფასებას არიდებს თავის ნამოღვაწარის შედეგებს. მიწათმოქმედების სამინისტრო, მომარ. სამინ. და სხ. უწყებები ყოველ ზომას ღებულობენ, რომ მათ კანცელარიებს არ გასცდეს უმცირესი ნაწილი მათი ცხოვრების ფაქტებისა. ყველაფრის დამალვა კი შეუძლებელია და ნებსით, თუ უნებლიეთ საზოგადოე

რომელიც ოქმებით გატარებულია და სწორედ იმისათვის ოფიციალური დასაბუთებული და მრავლის მეტყველი.

ჩვენ გვსურს დღეს შევეხოთ ჩვენი საგარეო ვაჭ. მხოლ.შემ.მოვლ.. ცნობილია, რომ მომარ. სამინისტრო დიდ იმედებს ამყარებდა თამბაქოს საზღვარ გარეთ გატანაზე. ეს იმედი, უსათუოთ, საფუძვლიანი იყო. ყოველი შეგნებული მოქალაქე ვალდებული იყო და არის ამ მხრივ: ე. ი. თამბაქოს გატანაში, დაეხმაროს მთავრობას. მაგრამ ამ მიზნით მმართველმა წრემ მიიღო და შეეცადა ცხოვრებაში გაეტარებინა მონოპოლის ისეთი წესები, რომელიც შეიცავდა: 1. თამბაქოს რეკვიზიციას (და არა მონოპოლიზაციას—ჩვენ ამას ხაზს ვუსვამთ) 2. ყოველ კერძო შემთხვევაში მის ევროპაში გაზიდვას ახალ-ახალ რწმუნებულთა საშუალებით და თვით ყოფილ მეპატრონის თანხლებით. და 3. მაგარ ფასებში ჩამორთმეულ თამბაქოს რეალიზაციის შემდეგ, ხარჯების გამოკლებით, წმინდა მოგების განაწილებას მომარ. სამინისტროსა და ყოფილ მეპატრონის შორის (მონებში). ჩვენ ეს წესი გავაკრიტიკეთ და დავგმეთ. მის ნაცვლად მთავრობას ვურჩიეთ გატანის ბაჟის დაწესება (вывозная пошлина) ციფრებით დავამტკიცეთ მაშინ, რომ ეს ფინანსიურათ გაცილებით უფრო მეტს მისცემდა მთავრობას, ვიდრე გატანილ თამბაქოს საუკეთესო ფასებში გასაღება (იხ. გაზ. „საქართველო“ იანვრის შუა რიცხვებში) („ერთობას“ არ სცოდნია, რომ ეს ზომა ჩვენ ვურჩიეთ და შეცდომით აწერს მას ერაძის დამსახურებას, რომელსაც იგი დაბოლოს მიუღია იხ. 7 ოქტომბ. №) ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, ვთხოვთ ჩვენი გაზ. ძველი ნომრები გადაათვალიეროს თამბაქოს მონოპოლიის შესახებ.

ახლა კი ჩვენ მომარ. სამინისტროს კამპანიის შედეგები გვაინტერესებს.

კეთილ სინდისიერათა, მიუდგომლათა და დაწვრილებით გამოვიანგარიშოთ მთელი რესპუბლიკის თამბაქოს რაოდენობის ნაღმობა 1919 წ. დამლევისა (ნოემბერ—დეკემბერში) და 1920 წ. დამდეგისას (პირველი იანვარი). ჩვენ მივიღებთ სულ მცირე ერთ მილიონსა და ორასი ათას—1.200.000 ფუთ. ფურცლოვან თამბაქოს სხვა და სხვა საწყობებსა და რაიონებში.

როგორც ზევითაც მოხსენებული იყო, ჩვენ ვურჩევდით მთავრობას გაზიდვის ბაჟის დადებით (მაშინ 3 ინგ. გირვ. ფუთში) თავისუფალ გაეხადა საქონლის ექსპორტი, თუმცა ეს ჩვენი წინადადება ნაგვიანევათ კი მიუღიათ, მაგრამ ვთქვათ, რომ ჩვენ მაშინაც და ეხლაც ვცდებით, ვთქვათ, რომ, მმართველი წრე მართალია თავის მოქმედებაში, ვთქვათ, რომ მათ საქონელი საუკეთესოთ დააბინავეს. 1919 წლის უკანასკნელი სამი და 20 წლის პირველი და მეორე თვეები თამბაქოსათვის ხელსაყრელი იყო ევროპის ბაზარზე.

მაგრამ ავიღოთ, რომ იქ, თამბაქო სულ დაბალ ფასებში გაიყიდა, ვთქვათ, იმდენათ, რამდენიც გასაზიდ ბაჟს. სახით შედიოდა ხაზინას. ჩვენივე გეგმის სისრულეში მოყვანით. ე. ი. ფუთში 3 ინგლ. გირ. სტერ. 1.200,000 ფუთი სულ მოგვცემს 3.600,000 ინგლ. გირვ. სტერ. თავის დროზე რომ თამბაქო გაგვეტანა 19 წლის უკანასკნელ თვეებში, ჩვენ ორჯელ მეტს მაინც ავიღებდით ბაჟის სახითაც კი. საუკეთესო დრო ხელიდან გაუშვეს, რადგან მაშინ მმართველი წრე მონოპოლიებისა და რეკვიზიციების ილუზიებით იყო გატაცებული. მაგრამ დავკმაყოფილდეთ მცირედით—ჩვენ მაინც, სულ მცირე 3.500. ათასი გირ. სტერლ. უნდა შემოგვსვლოდა და მერე რას ნიშნავს ეს ციფირი? ჩვენს ფულზე რომ ვიანგარიშოთ ეხლანდელ ღირებულებით ჩვენ უნდა აგვეღო თითქმის 20.000.000,000 მან. ბონებით, ზომიერი კურსით რომ ვიანგარიშოთ. ოცი მილიარდი მანათი—ეს ისეთი თანხაა, რომელიც სავსებით, დახურავდა მთელი ჩვენი სახელმწიფოს დეფიციტს, ბიუჯეტს გაამტკიცებდა და ხუთმეტი მილიარდი კიდევ ხელთ დაგვრჩებოდა. კიდევ უკეთესი! ეს მთელი თანხა ინგლისურ ვალიუტით ინგლისის ბაზარზევე რომ მოგვეხმარა და პური გვეყიდა, ჩვენ შევიძენდით საუკეთესო თეთრ პურის ფქვილს და იმდენს, რამდენიც სრულიათ საკმარისი იქნებოდა, ეხლა ჩვენთვის მთელი ჩვენი ხალხის გამოკვების უზრუნველ საყოფაო. ლონდონის ბაზარზე პური, ამერიკული, თეთრი, მეორე ხარისხის, ბათუმ-ფოთში ჩაბარებით ღირდა 20 წლის მარტ-აპრილის განმავლობაში 32 ინგლ. გირვ. სტერ. ტონა ფქვილი. ასი ათასი ტონა ფქვილი ეღირებოდა, მაშასადამე, 3.200,000 ინგლ. გირვ. ასი ათასი ტონა კი 6 მილიონ ფუთ ფქვილს აღემატება. (6.200,000 ფუთია). ბატონებო, ექვსი მილიონი ფუთი ფქვილი სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ მთელი ხალხი, მუშები, გვარდია, ჯარი, ინტელიგენცია—ყველანი, გლეხობაც კი პურით ისე გამოგვეკვება, როგორც ომამდე იკვებებოდა ყოველი ხსენებული წრე, რადგან ეს ექვსი მილიონი ფუთი ფქვილი მთელს ჩვენს მოსავალს ბაზარზე გამოიტყუებდა, და პურის ნაკლებობა სრულიათ საგრძნობი არ იქნებოდა.

აი, რას ნიშნავს მხოლოდ, ერთად ერთი ჩვენი ნაწარმოების თამბაქოს სწორი რეალიზაცია.

ჩვენ არ ვიცით, მოახდინა თუ არა მთავრობამ სწორი რეალიზაცია. ჩვენ

ათასი ფუთი თამბაქოდან მხოლოდ ერთი მილიონი რომ გაეტანათ ისე, როგორც ამას იმ თავით ჩვენ ვამბობდით, მთავრობას ეხლა დეფიციტი არ ექნებოდა; ახალი ემისიები აღარ დასჭირდებოდა, ან და კიდევ პური მარქაფათ ბლომად გვექნებოდა. დეფიციტისა და ვალიუტის დაცემის წილად ჩვენ სრული, მტკიცე, დადებითი ბიუჯეტი გვექნებოდა, ვალიუტაც წესიერი და დაცული დაგვრჩებოდა

შიმშილობისა და გაჭირვების წილ კმაყოფილება და მარქაფისათვის თადარიგიც დაკავებული გვექნებოდა.

მმართველს წრეებს ძალიან სწყინთ კრიტიკა.

მაგრამ ჩვენ აქ არ შევხებივართ არც მატყლს, არც აბრეშუმს, მარგანეცს და სხ. საექსპორტო საქონელს.

თუ მხოლოდ თამბაქოს სწორეთ, წესიერათ მოწყობილი ექსპორტი რესპუბლიკისათვის ესოდენ მნიშვნელობისაა, განსაჯეთ, ბატონებო, თუ რას შეედრება სიჩუმე და კრიტიკაზე ხელის აღება.

საგარეო ვაჭრობა ცუდათაა მოწყობილი. მას შველა უნდა. სად არის იგი?

ტ. მარგველაშვილი.

ოსმალეთში.

მილისტების ტერორისტული გეგმა.

გაზ. „ტაიმსი“ სწერს შემდეგს: „თუ დავუჯერებთ უკანასკნელ ხანებში გავრცელებულ ხმებს, ქიამალ ფაშა მხოლოდ იმ მოსაზრებით უტევს სომხეთს, რომ ანტანტაზე და ამერიკაზე გავლენა მოახდინოს. ქიამალისტები განაგრძობენ ბრძოლას სმირნაში ბერძნების წინააღმდეგ და კილიკიაში საფრანგეთის წინააღმდეგ. ზოგიერთი მილისტს ეშინია ამ ვრცელი ტერიტორიალური გეგმის განხორციელების პროცესში სტამბოლიც არ დაჰკარგონ, მაგრამ მათში უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ოსმალეთისათვის სტამბოლს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მანამ, სანამ ჩატალჯა ბერძნების ხელთაა. ოსმალეთის გულწრფელი სურვილია ანატოლიაში გამაგრება და იქ ყოველგვარი ზომის მიღებით სომხების, ბერძნების, რუსების და ქურთების სეპარატიული მიდრეკილების ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა, ამ საქმეში მილისტების აზრით ოსმალეთს დაეხმარება „აზიური“ მოსკოვის მთავრობა„.

ანგორისა და სტამბოლის შეთანხმება.

სტამბოლის გაზ. ,,დჟოგ. ძაინი'' იუწყება შემდეგ': ,,იზეთ ფაშა მოლაპარაკებას აწარმოებს ანგორის მთავრობის წარმომადგენლებთან—სეფიატი და ჯემალ ბეისთან. ანგორისა და სტამბოლის შეთანხმების საკითხი დაისვა ანატოლიის ეროვნულ კრებაზე. გამოირკვა ორი მიმართულება: ზოგს ყოველგვარი წინასწარი პირობების შეუმუშავებლად ჰსურდა სტამბოლთან შეთანხმება, ზოგმა კი წამოაყენა შემდეგი პირობები: 1) სტამბოლმა უნდა გამოაცხადოს საერთო მობილიზაცია, 2) ანატოლიის საპასუხისმგებლო ადგილებზე დანიშნონ ის პირები, რომელთაც ანგორის მთავრობა წამოაყენებს, 3) მილისტები თანახმანი არიან ადრიანოპოლი ბერძნებს გადაეცეს. რაც შეეხება სმირნას, ქიამალისტები მოითხოვენ სმირნაც ბერძნებს გადაეცეს და ამავე დროს მაზე გავრცელდეს ოსმალეთის ნომინალური უფლება და აგრეთვე ამოიშალოს სევრის ხელშეკრულებიდან ის პუნქტი, რომ ლაც 5 წლის შემდეგ სმირნაში პლებისციტს მოითხოვს''.

სომხეთში.

სომხეთის ყოფილ პრემიერს კაჩაზნუნს რომელიც სომხეთის პარლამენტის თამჯდომარეთ აირჩიეს, წინადადება მიეცა პერსონალურ საფუძველზე საქმიანი კაბინეტი შეადგინოს.

ყირიმში

ამ დღეებში სევასტოპოლიდან გამოსულმა მოწმემ ყირიმის ამბებზე ამ, შემდეგი უამბო ჩვენს კორესპონდენტს.

— უკანასკნელ დრომდე დიდი შიში არავის გამოუცდია. ყველა შეჩვეული იყო იმ აზრს, რომ ჯარი დაიცავდა, ამოეფარებოდა ბეტონის სიმაგრეებს, რათა ნაკლები მსხვერპლი შეეწირა რამდენჯერმე მძლავრ მტრისათვის და ისე დაიფარავდა თავს. ამ სიმაგრეების ყველას ისეთი დიდი იმედი ჰქონდა, რომ ჯარის მაღალი და უკან დახევას არავინ გაუკვირვებია. ეს სიმაგრეები ააგეს ფრანგებმა,—ვერდენის ინჟინრებმა, შემოლონეს ეკლიანი მავთულით და ყველას მიუდგომელ ციხე სიმაგრედ ეჩვენებოდა.

მაგრამ სრულიად მოულოდნელმა გარემოებამ დაამძლურეს და დაარხეს ეს მიუდგომელი და მაგარი ციხე-ბურჯები.

აუტანელმა ყინვამ, ისეთმა ყინვამ რომლის მსგავსსაც შავი ზღვის ნაპირები არ მოსწრებიან, დალუპა მთელი ჯარი.

სივაშისა და გნილოის სრუტეები გაიყინენ—ბოლშევიკებს გზა გაეხსნათ და მთელის თავისის ძლიერებით შესივნენ ყირიმს. ამბობენ მათი ჯარის რიცხვი ცდა ათ დივიზიას აღემატებოდა. ყოველ შემთხვევაში ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდა თოფ-ზარბაზნების სროლით, რის მომსწრე არავინ არის.

ჯანკოი უკვე დაეცა და ახლა კი შიშის ზარმა აიტანა ყველანი.

ვრანგელმა გამოსცა მოწოდება ჯარის დათხოვნის შესახებ და დეზერტირებმა რომელთა რიცხვი ათასობით იყო, გახსნეს ახალი ფრონტები, რაც ხელს უშლიდა სევასტოპოლის დამცველ რაზმებს. ის ასი და ათასი ბოლშევიკი, რომლებიც ტყვეთ ჰყავს ვრანგელს და ვითომც მას ემსახურებოდნენ, კვლავ ბოლშევიკებისაკენ გადავიდნენ და ამით სამუდამოდ გამოაცალეს ძალა ვრანგელის ერთგულებს.

სევასტოპოლში გამეფდა აუწერელი შიში და ბრძოლა.

ყველა ნავებს ეცა და ბრძოლით იღებდა ალაგს.

ინგლისის გემები, რომლებიც რეიდზე იდგა, არავის შველოდა, რამდენიმე კაცმა ძალით თუ შეაფარა თავი ამ გემებს.

რუსისა და საფრანგეთის ტრანსპორტები, გემები, ნავები და ერთი სიტყვით, რაშიაც კი ჩაჯდომა შეიძლებოდა ხალხით გაიჭედა—არავის არ უნდოდა ყირიმში დარჩენა ბოლშევიკების სათრევად.

უკანასკნელი რაზმი მივიდა სევასტოპოლში 16 ნოემბერს, დილით და ,,კორნილოვი'', რომელზედაც იყო ვრანგელი გავიდა შუაზღვაში და სტამბოლისაკენ გასწია.

რა ხდებოდა ყირიმის სხვა ადგილებში ძნელი სათქმელია.

კერჩის ფრონტიდან მოისმოდა თოფ-ზარბაზნების ხმა—უკანასკნელი ნაშთი ვრანგელის ჯარისა თავს იცავდა.

სევასტოპოლიდან გაიქცა 60 ათასკაცამდე. ძვირფასი ნივთები და ღირებულებანი წინდაწინვე იყო გაზიდული.

ვრანგელის გემის წასვლის შემდეგ სევასტოპოლზე აფრიალდა წითელი დროშა და თოფის უსწორმასწორო სროლა უფრო გაცხარდა.

დეპეშები.

ს. დ. ს. ს ინფ. გან. ცნობები.

ლოიდ ჯორჯის აზრი მომენტის შესახებ.

ლონდონი. ლოიდ ჯორჯმა ლონდონში მომხდარ ნაციონალ ლიბერალების საბჭოს პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ მას სურს გულწრფელად იმსჯელოს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. არიან პირები განაცხადა ლოიდ ჯორჯმა რომელნიც ვერსალის ხელშეკრულებას აკრიტიკებენ, მაგრამ ბევრად უმჯობესია ამ გვარი ხელშეკრულება ომის გაგრძელებაზე. ამ ჟამად ზავი დადებულია, და თუ ეს ზავი საკმაოდ დამაკმაყოფილებელი არ არის, ყოველ შემთხვევაში იგი კარგია მით, რომ ომი აღარ არსებობს და ალბად იგი დიდხანს კიდევ არ დაიწყება. ინგლისის ყველა პარტიამ უნდა შეათანხმოს თავის ძალები დიდი ბრიტანეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ განმტკიცების საქმეში. როდესაც ქარიშხალი იწყება,—ყველანი მზად უნდა იყვნენ, რადგანაც ამაზე არის დამოკიდებული ყველას კეთილდღეობა. დადგა დრო, როდესაც უნდა ჩავიცვათ საწვიმარი ქარიშხალის შესახვედრად. ამინდი ჯერაც ბუნდოვანია. მე გემის უფროსის ადგილზე შეურყევლად ვსდგევარ. მრავალი უამინდობა განვიცადე მე და იმათ შევერცხლეს ჩემი თმა. მიუხედავათ იმისა, რომ ზავი უკვე დადებულია, ჩვენ ისევ საშიშარ ზონაში ვიმყოფებით. ჩვენ ერთი მეორეს უნდა ვუცქეროდეთ ნდობით და უნდა უარვყოთ ყოველგვარი ეჭვი და გაკიცხვა. პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ შინაგან მშვიდობიანობაზე და ამასთანავე გარეშე მშვიდობიანობაზედაც. ამ მიზნის აღსასრულებლად ჩვენ არაფრის წინაშე არ უნდა დავსდგეთ. ამ მხრივ ყველაზედ უფრო ძნელია რუსეთთან მშვიდობიანობის დამყარება, რადგანაც ეს ქვეყანა მოწამლულია ,,შხამიანი'' ჰაერით. ყველაზედ უფრო სწორია შუა მიმდინარეობის გზა: შინაური მშვიდობიანობა. უნდა დავეყრდნოთ კოალიციურ მთავრობაზე, გარეთ კი საერთაშორისო ვაჭრობის მოწყობაზე. თუ კი ინგლისში არსებობს ისეთი პარტიები, რომელნიც მზად არიან თავის თავზე მიიღონ პასუხის მგებლობა შინაურ და გარეშე პოლიტიკის ხელმძღვანელობისა, მე მზათა ვარ, რომ ჩემი ადგილი მათ დავუთმო.

სტამბოლი და ანგორი

კონსტანტინოპოლი. „ბოსფორი“ იუწყება: ოსმალეთის მთავრობის მოლაპარაკებამ ანატოლიასთან სასურველი შედეგი გამოიღო. ამიტომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა გაგზავნოს ანატოლიაში ანგორის მთავრობასთან საგანგებო კომისია. ეს გადაწყვეტილება მოიწონა სულთანმაც. მისიაში შედიან: პრინცი აბდურაგიმი, ეფენდი, შინაგან საქმეთა მინისტრი ახმედ-იზეტ-ფაშა, საზღვაო მინისტრი და გენერალურ შტაბის უფროსი. მისიას თან ახლავს ცალკე სამინისტროების წარმომადგენლები. „ბოსფორი“ აღნიშნავს, რომ მისიის დაბრუნებამდე ოსმალეთის ცენტრალური მთავრობის პოლიტიკა უცვლელი დარჩება.

კონსტანტინოპოლი. ადგილობრივი პრესა იუწყება: ქემალისტები თავის ჯარებს იზდირის სექტორში აგროვებენ. ამ რაიონში მათ ჯერ-ჯერობით 15.000 კაცი ყავთ. გაზეთი აღნიშნავს, რომ

ბოლშევიკე მალისტები გვით მუშაობას იწყებენ. განზრახ ბრუსისა და სმირნის ფრონტზე შე დაწყება. ამ მოქმედებას უფრო პ ტიკური ხასიათი აქვს, ვიდრე ს რო. ასეთი მოქმედებით სურს ან მთავრობას პრესტიჟი აღადგინოს. რის მთავრობასთან წინასწარ მო პარაკებლად კონსტანტინოპოლიდა ანგორაში დელეგატი გაემგზავრა. რომ ანგორის მთავრობამ უკვე წ გინა კონსტანტინოპოლში შერიგ პირობები. პრესას არ სწამს შერ ბის შესაძლებლობა, ვინაიდან ს შირე ბთან კავშირის შეწყვეტას ნაკსო.

კონფერენცია მილანში

მილანი. ნოემბრის დამლევს, მილ შესდგება 28 სახელმწიფოს წარმ ენლთა კონფერენცია, რომელზე ხალხთა ლიგის იდეის პოპულარ ციისათვის საჭირო ზომებს გამო ეენ გარდა ამისა გაირჩევა სა საერთო განიარაღებისა, ხალხთა ნომიური სოლიდარობისა და იმ შე ბისა შესახებ, რომელსაც მიაღწია ხალხთა ლიგის მოქმედებამ.

ლიონის ცნობები.

მთავრობის კრიზისი ფინეთ

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენ სეიმის სოციალისტური ჯგუფის მჯდომარეს ტანნერს ახალი მთავრობ შედგენა დაავალა. ტანნერი იყო დ ტში საზავო დელეგაციის წევრათ.

გერმანია და ჩეხეთი.

გერმანელთა წარმომადგენლების ფაქცევით აღელვებულმა ჩეხის მცხო რებლებმა ნოემბრის 17, მანიფესტაც ები გამართეს. მანიფესტანტთა რიცხ 2,000-მდე იყო. მათ დაიკავეს გერმან ლი ძველი თეატრი, ზედ ააფრიალ ჩეხის დროშა და მოითხოვეს, წარმოდგენა ჩეხურ ენაზე გაგრძელებ ლიყო. შემდეგ გერმანულ კაზინო კარები ჩაამტვრიეს და ვილჰელ 2 ქანდაკი ფანჯარიდან გადმოაგ და აქაც ჩეხის დროშა ააფრიალ სხვები გაემგზავრენ გერმანულ გაზ ,,ბოჰემია'' სკენ და დახურეს იგი. ,,პრა გის ტაგებლატი''-ს დირექტორმა დაა ქარა ჩეხის დროშის აფრიალება, თა მანიფესტანტები დაეწყნარებია.

მდგომარეობა საბერძნეთში.

რალისმა რეგენტის თანადასწრებ ფიცი დასდო კაბინეტის დანარჩენ წევრები კოროლევა ოლღას თანდა წრებით მიიღებენ ფიცს. ვენიზელო ნიცაში ჩავიდა.

რალისის განცხადება.

,,პტი-პარიზიენი'' აქვეყნებს რალი სის შემდეგ განცხადებას. მე სრულია უარვყოფ გერმანელებისადმი იმ თანაგრძნობას, რომელსაც ჩვენ გვაწერენ, როგორ შეუძლია იმ ხალხს, რომლი ბედი ასე მჭიდროთ არის დაკავშირებული მოკავშირეთა საქმეებთან, თანაგრძნობით მოეკიდოს გერმანელებს მ შემდეგ, რაც მათ საერთო საქმისთვის გააკეთეს. ვენიზელოსის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა საბერძნეთის პარლამენტში არ მოითხოვს ორიენტაციის შეცვლას საგარეო პოლიტიკაში.

საბერძნეთის კაბინეტი.

საფრანგეთის პრესის მიერ მიღებულ ცნობების თანახმათ საბერძნეთის ახალ კაბინეტში შედიან: რალისი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა და დროებით იუსტიციის მინისტრი. გუნარისი სამხედრო მინისტრი. ბლოჟე—ფინანსთა მინისტრი, ოპუდოსი—საზღვაო და დროებით მ მარაგების მინისტრი. ისალმარისი—სახალხო განათლების, ზაიმისი დროებით საზოგადოებრივი დახმარებისა და მოვროიკადოსი დროებით მიწად-მოქმედების მინისტრი.

ერთა ლიგაში.

ერთა ლიგაში. ოთხშაბათს ერთა ლი გის სხდომაზე დილით არგენტინის სა გარეო საქმეთა მინისტრმა გაარკვია არ გ ნტინის როლი ომის დროს და ხაზ გაუსვა, რომ ზოგიერთი ქვეყნის ერთა ლიგაში მიღებაზე უარის განცხადება შეიძლება ცუდი შედეგები მოყვეს და გამოიწვიოს სახელმწიფოთა ახალი ლი გის შედგენაო. ამის შემდეგ ლორდმა რობერტ სესილმა ილაპარაკა სომხეთის სასარგებლოდ ოთხშაბათს კომისიის თავმჯდომარეებად და ვიცე თავმჯდომარეებად აირჩიეს: ტეხნიკურ კომისიაში ტიტონი და იონესკო, იურიდიულში ლეონ ბურჟუა და ალფონსო კოსტა, მანდატებისა და შეიარაღების კომისიაში ბრანტინგი და აგერრო.

ერთა ლიგის საბჭომ ჟენევაში განიხილა თავისუფალ ქალ. დანციგის კონსტიტუციის საკითხი. ამის შემდეგ გა ნიხილეს მოხსენება იურიდიულ საკითხების შესახებ. საბჭომ გამოიმუშავა თავისუფალ ქალაქის კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი. მას აუწყებენ დაინტერესებულ მხარეებს და შემდეგ გამოაქვეყნებენ.

გერმანული ცნობა.

ჩეხო-სლოვაკია და გერმანია

პრაგიდან იუწყებიან: ჩეხო-სლოვაკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელთა წინაამდეგ. ეს ტყვეები ციმბირიდან იყვნენ ახლად დაბრუნებულნი. ხალხი შევარდა გაზეთების რედაქციებში და მათ დიდი ზარალი მიაყენა. „პრაგის ტაგებლატი“ ამბობს, რომ მისი ზარალი სულ უკანასკნელი ნახევარ მილიონ კრონას უდრის. ხალხმა დაიკავა გერმანული თეატრი და მოითხოვა რომ წარმოდგენა ჩეხურ ენაზე ყოფილიყო: მანხელთ იგდო გერმანელ სტუდენტების საცხოვრებელი ბინა და იგი შეურაცხყოფას აყენებდა გერმანელ მცხოვრებთ. მიუხედავათ იმისა, რომ ვერსალის ხელშეკრულების ძალით მცხოვრებთ მინიჭებული აქვთ პიროვნების ხელშეუხებლობა-მთავრობის წარმომადგენელნი არავითარ ზომებს არ ღებულობდენ მცხოვრებთა დასაცავათ. გერმანელნი საშინლად აღელ[illegible] და ჩეხო-სლოვაკების მიერ მათ მიმ[illegible]თადმი მიყენებულმა შეურაცხყოფამ ტეპლიცში, ეგერში და პრაგაში; შიში აქვთ რომ სერიოზული ექსცესები არ გამოიწვიოს ამ ამბებმა მთელ ჩრდილო-ბოჰემიაში.

გაზეთ „ვერის“ კორესპონდენტი აღნიშნავს იმ საშინელ პირობებს, რომელშიც იმყოფება გერმანელთა უდიდესი ნაწილი. მას სხვათა შორის მოჰყავს მრავალი მაგალითი გერმანელ მუშათა და აგრეთვე ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორთა ოჯახების ცხოვრებიდან: მისი სიტყვით ეს ოჯახები ნელ-ნელა შიმშილის გამო სიკვდილს უახლოვდებიან. ბერლინის ერთ-ერთ პირველ დაწყებით სასწავლებელში აღმოჩნდა, რომ ბავშვების 11 პროც. არა ჰქონდა საცვლები. ავტორი ამბობს რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საფრანგეთმა და გერმანიამ გაიგონ ურთიერთი მდგომარეობა.

ზემო-სილეზიის ავტონომია.

გერმანიის სახელმწიფო საბჭომ ერთხმად დაადგინა, რომ ზემო-სილეზიას ავტონომია მიეცეს.

ბურჟუაზიული პარტიების გამარჯვება.

საქსონიის სეიმის არჩევნებმა, სადაც აქამდის უმეტესობას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატები, დაამტკიცა რომ გაძლიერებულა საშუალო კლასების პარტიები, რომელთაც 96 წევრიდან მიიღეს 47 ადგილი. კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე“ არჩევნების ამგვარ შედეგს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის დამღუპველათ სთვლის.

რუსეთის ცნობები.

ავსტრიის სოც. დემოკრატები.

მოსკოვი. 18 11. გუშინ დაიხურა ავსტრიის სოციალდემოკრატიულ პარტიის პარტეიტაგი. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები პარტეიტაგზე სრულიად არ გამოსულან. ადლერის მიერ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია აღარ ეკუთვნის მეორე ინტერნაციონალს და მესამე ინტერნაციონალში შესვლაზედაც უარს ამბობს. მიესალმება რა გერმანიის დამოუკიდებელთა, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის და ინგლისის მუშათა პარტიის მიერ დანიშნულ კონფერენციას მათ მოწვევას, ავსტრიის სოციალ-დემოკრატია გამოსთქვამს იმედს, რომ მონახული იქნება გზები მუშათა კლასის საერთო ორგანიზაციის შესაქმნელად ყველა ქვეყნის შეგნებულ პროლეტარიატის გასაერთიანებლად.

პოლონეთის სოციალ-დემოკრატები

ვარშავაში დანიშნული სოციალ-დემოკრატების მიტინგი გარეკა პოლიციამ.

რუსეთი და ინგლისი.

„დეილი ნიუსი“ იუწყება: ბაქოში მყოფი ინგლისელმა ტყვეებმა სამშობლოში დაბრუნება დაიწყესო. არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რომელიც რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას ხელ უშლიდეს. ჩვენ ვფიქრობთ არ შეიძლება ორი აზრის ქონა ისეთ საკითხზე: რომელი სჯობია: ცარიზმი თუ ბოლშევიზმი. არც მთავრობას არ შეუძლია რუსეთის ძველ დიდების აღდგენა. „დეილი ექსპრესი“ სწერს: ამ რიგად აღარ არსებობს არავითარი დაბრკოლება, რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება აღვადგინოთ. სავაჭრო დამოკიდებულება დაუყონებლივ უნდა აღსდგეს. ჩვენი [illegible]ლები არ უნდა იყვნენ კვლავ გაჩერებულნი და არ უნდა გაამრავლონ უმუშევართა რიცხვი.

პოლონეთის პრეტენზიები.

ვარშავის მთავრობას, რომელიც აღფრთოვანებულია ჟელიხოვსკის გამარჯვებით განზრახული აქვს დაიწყოს ავანტიურა ტეშენის წინაამდეგ. ტეშენის თავისუფლება გენერალ როიას მი[illegible]. საფრანგეთის მთავრობა, იმის მაგივრად, რომ ტეშენის ოკუპაციის წინადეგ პროტესტი განაცხადოს, პირიქით პოლონეთის ექსპედიციას სიმპათიით ეპყრობა.

„ზიგის“ ცნობა.

პარიზი. ფრანგული გაზეთების ცნობით ერთა ლიგის 1921 წლის ბიუჯეტი უდრის 20 მილიარდსა და 660,000 ფრანკს, რომელიც განაწილებული იქნება ერთა ლიგის წევრთა შორის. თანხის შეტანის დროს გათვალისწინებული ის პროპორციაა, რომელსაც ერთა ლიგის წევრები იხდიან საერთაშორისო საფოსტო კავშირში და ამის მიხედვით მოხდა გადაჯგუფება შვიდი კატეგორიისა:

პირველ კატეგორიაში შედის ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა, ავსტრალია, პოლონეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკა; მეორე კატეგორიაში—ესპანია. მესამეში—ბელგია, ბრაზილია, ჩეხოსლავია, ჰოლანდია, რუმინია, შვეცია და შვეიცარია. მეოთხეში—დანია, ნორვეგია, პორტუგალია და სერბეთი. მეხუთეში—არგენტინა, ჩილი, კოლუმბია, საბერძნეთი და პერუ; მეექვსეში—ვოლივია, კუბა, ჰაიტი, ახალი ზელანდია, პანამა, პარაგვაი, სპარსეთი, სოლვადორი და სიამა; მეშვიდეში—ლიბერია და გეჯასი.

ჩერჩილი ბოლშევიზმის შესახებ.

ლონდონი. ჩერჩილმა დენდიში წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა ბოლშევიკების შესახებ: „რუსეთი სიმშილით კვდება და ამ უბედურებაში ბოლშევიკები არიან დამნაშავენი. თუ რუსეთი აღსდგება,—რაც მე მრწამს,—ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ლენინის დამღუპველ პოლიტიკას ყველა არ მოუხიბლავს“.

უცხოეთში

—:—

კამენევი და ლოიდ-ჯორჯი.

ოქტომბრის 12-ს მოსკოვის კომუნისტური პარტიის და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე კამენევმა გააკეთა მოხსენება ლოიდ ჯორჯთან მოლაპარაკების შესახებ.

იარაღის ჟღარუნი.

კამენევმა სთქვა, რომ ლოიდ ჯორჯმა განუცხადა მას პირველი შეხვედრისთანავე, რომ წითელი არმიის გადასვლა პოლონეთის ეთნოგრაფიულ საზღვრებზე ხელს შეუშლის კეთილ-განწყობილების დამყარებას საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის, და რომ მან უკვე ბრძანება მისცა ფლოტს თვალყური ადევნოს საბჭოთა რუსეთის ნაპირებს. ყველა ამან იხეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ კამენევმა თათბირიდან წასვლისას უთხრა კრასინს:

—ეს—ომის გამოცხადებაა!

მეორე დღემ დაამტკიცა თუ რამდენათ ცოტათ იცნობდა კამენევი ლოიდ ჯორჯს.

ლოიდ ჯორჯი და პოლონეთი.

მეორე დღეს ლოიდ ჯორჯმა, კამენევის თქმით, „დიდი გულგრილობა გამოიჩინა“. მან განუცხადა კამენევს:

— თქვენ მოითხოვთ პოლონეთის ჯარის დემობილიზაციას? რათ გჭირიათ თქვენ ეს? პოლონელებს ხომ არც იარაღი, არც ფეხსაცმელები, არც ჯარებისთვის მაზარები არა აქვთ. ფაქტიურად მხოლოდ ჩვენ—ინგლისს და საფრანგეთს შეგვეძლოა დემობილიზაცია მოვახდინოთ თუ პოლონეთს უარს ვეტყვით სამხედრო მასალის მიცემაზე.

ლოიდ ჯორჯი და საფრანგეთი.

კამენევმა ჰკითხა ლოიდ-ჯორჯს: შეუძლია თუ არა მას ილაპარაკოს საფრანგეთის სახელითაც. პრემიერმა უპასუხა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ მილიერანი იზიარებს ჩემს აზრს, მაგრამ ამ ხანად ის ისეთ მდგომარეობაშია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემს აზრს იზიარებს, შეთანხმებას ხელს ვერ მოაწერს.

მარშალი ვილსონი.

კამენევის და ლოიდ ჯორჯის მოლაპარაკების დროს იქ იყო მარშალი ვილსონიც. ლოიდ ჯორჯი შეეკითხა მას, თუ რამდენი დრო იქნება საჭირო, რომ ბრძანებამ სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ წითელ ჯარამდის მიაღწიოსო. ვილსონმა უპასუხა—არა ნაკლებ ოთხი დღისა, ლოიდ ჯორჯი მოიღუშა და შენიშნა:

— მაგრამ ოთხ დღეში ხომ ვარშავას წითელი ჯარები აიღებენ.

კამენევის გაძევება.

კამენევმა თავის მოხსენება შემდეგი ტრაბახით დაათავა:

— ჩვენ დიდი უთანხმოება გამოვიწვიეთ ინგლისსა და საფრანგეთს შორის. მაგრამ როცა ჩვენმა ჯარებმა ვარშავიდან დაიხია, მოკავშირეთა შორის კვლავ ჩამოვარდა ერთსულოვნება და ამის გამო ინგლისის მთავრობამ დაადგინა ჩვენი ინგლისის საზღვრებიდან გაძევება.

ბოლშევიკური პრესა ქემალისტების შესახებ.

უცხოეთის პრესა ბოლშევიკების საგარეო პოლიტიკის შესახებ სწერს: „ოსმალეთა ნაციონალისტების გამარჯვება, ყარსის და გუმბრის ხელში ჩაგდება და ბათომზე დამუქრება ქავკასიას სრულიად ჩამოაცილებს ევროპას. აუცილებელია ჩაშლა ანგორისა და მოსკოვის კავშირისა, რისთვისაც საჭიროა ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების გადახილვა“.

(გაზ. „პრავდა“.)

სტუდენტთა საერთო კრება.

შაბათს გიორგობისთვის 20 ს საღამოს 8 საათისათვის მეორე აუდიტორიაში დანიშნულია სახელ. უნივერ. ერ. დემოკ. სტუდენტთა საერთო კრება, მოხსენებას გააკეთებს დამფ. კრების წევრი ბ ნი ალ. ასათიანი საქართველოს დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

——

ერ. დემ. პარ. მთავარ საარჩევნო კომისიის ცნობები

თიონეთის მაზრის არჩევნები.

თიონეთის მაზრაში მეორე სათემო ერობის არჩევნებში თიონეთის თემში ერ. დემოკ. (სიამ. № 2) გაიყვანეს 14 ხმოსანი. ს. დემოკრ. (სია. №1.) 14. ხმოს. და ს. ფ. დ 12. არნოს თემში ერ. დემ. გაიყვანეს 4 ხმოსანი.

ახალი ამბები.

სამინისტროებში.

— შრომის სამინისტროში. შრომის სამინისტრო შეუდგა იმ პირთა სოციალურ დაზღვევის პროექტის გაფართოების დამუშავებას, რომლებიც დაქირავებულ შრომას ეწევიან.

— შრომის სამინისტრომ მომრიგებელ კამერას მიმართა წინადადებით: საკასაციო ხასიათის საქმეების გადმოგზავნის დროს დაასაბუთოს ამასთანავე მომრიგებელ კამერის დადგენილება.

— გზათა მინისტრმა რკინის გზელთ მიმართა მოწოდებით, რომ თავის ადგილებს დაუბრუნდენ. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ვინც სამუშაოზე არ გამოცხადდება პასუხის გებაში მიეცემა.

— ფინანსთა სამინისტროში. ფინანსთა სამინისტრომ, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, კვარცხანის სპილენძის სადნობ ქარხანას 10 მილ. სესხი მისცა. ფინანსთა სამინისტროს მიენდო შეიმუშაოს პირობები ამ წარმოებაში მთავრობის მონაწილეობისა.

— იუსტიციის სამინისტროში. ნოემბრის 21 დუშეთში სოლქო სასამართლოს სესია მიემგზავრება. სესიაში შედიან თავმჯდომარე ს. გელოვანი და სასამართლოს წევრი დ. ტატიშვილი. საქმეების გარჩევა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით დაიწყება ნოემბრის 23 და ნოემბრის 27-მდე გასტანს.

— შრომის სამინისტროში. შრომის სამინისტრომ სოხუმის ოლქის შრომის კომისარისაგან სტატისტიკური ანგარიში მიიღო. თანახმად ანგარიშისა 1920 წ. პირველ ნახევარში კომისართან 275 საქმე შემოსულა, თანახმად კომისარის განცხადებისა, ქალაქში და ოლქში სადაც არ არის მსხვილი წარმოება, უფრო ხშირად იჩენს თავს წვრილ მეპალიკის ცენტრში. 275 საქმედან 219 საქმე შრომის კომისარის საშუალებით მორიგებით გათავდა. გარდა საკონფლიქტო ხასიათის საქმეებისა შრომის კომისარი ხელმძღვანელობდა ადგილობრივ თათბირების სატარიფო პალატის და მომარაგების საკითხების მოსაწესრიგებლად.

ერობებში.

— ერობის ცხოვრება. ერთობათა კავშირის კომიტეტმა, განიხილა რა კანონ პროექტი საქართველოს ერობათა თვითმართველობის შესახებ, დაადგინა: დაეგზავნოს კანონ პროექტი სამაზრო ერობებს წინადადებით განიხილონ ეს პროექტი საჩქაროთ და წარუდგინონ მთავარ კომიტეტს თავიანთი მოსაზრებანი და კორექტივები. სამაზრო ერობის დასკვნების მიღების შემდეგ მთავარი კომიტეტი აღნიშნულ კანონ-პროექტს დაუყონებლივ დამფუძნებელ კრებაში შეიტანს განსახილველად. ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა შეიტანოს ეს კანონ პროექტი დამფუძნებელ კრებაში არა უგვიანეს მიმდინარე თვისა.

სხვა და სხვა.

— რესპუბლიკის მცხოვრებთა აღწერა. თანახმად ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის მიერ 1917 წ. დამუშავებულ უკანასკნელ აღწერისა რესპუბლიკის მაზრებში მცხოვრებთა შემდეგი რაოდენობა იყო: ახალქალაქის მაზრაში ირიცხებოდა 93,441 კაცი, ახალციხის მაზრაში—66,813 კაცი, ბორჩალოს მაზრაში—111,582 კაცი, გორის მაზრაში 189,383 დუშეთის მაზრაში—66,612 კაცი, სიღნაღის მაზრაში—113,121 თელავის მაზრაში—62,834, ტფილისის მაზრაში—90,253. ქალაქ ტფილისში

ქუთაისის მაზრაში—217,044, ლეჩხუმის მაზრაში—57,114, ოზურგეთის მაზრაში—104,249, რაჭის მაზრაში—82,732, სენაკის მაზრაში—120,287, შორაპნის მაზრაში—173,150 კაცი, გუდაუთის მაზრაში—26.072 გუმინისტის მაზრაში—38,149 კაცი კოდორის მაზრაში—26,830 სამურზაყანოს მაზრაში—41,952 კაცი.

— მომარაგების საქმე. ეკონომიური საზოგადოება გვთხოვს გამოვაცხადოთ რომ 1) საზოგადოებამ შეიძინა დიდძალი შარვლები დამზადებული, მაზარები და საზამთრო საბნები. შარვლები იყიდება მხოლოდ წევრებზე დანარჩენი კი კერძო პირებზედაც. 2) საზოგადოებამ გახსნა განყოფილება. ქ. ოზურგეთში სადაც გაგზავნა დიდძალი საქონელი. 3) საზოგადოებამ დაამთავრა წევრებზე კართოფილის, კომბოსტოს და ჭარხლის დარიგება: სულ დარიგდა 5 ვაგონი კარტოფილი 3 ვაგონი კომბოსტო და ორი ვაგონი ჭარხალი: საზოგადოება განაგრძობს წევრებზე ხახვის დარიგებას. 4) საზოგადოება მოელის დიდძალ მანუფაქტურას, რომელიც დარიგდება მხოლოდ წევრებზე. 5) მოკლე დროში დაიწყებს მუშაობას საზოგადოების სანთლის ქარხანა, სადაც დამზადდება (კართოფილის) სტეარინის სანთელი.

— მარგანეცის ექსპორტი. „ჩემო“ რეალურ ნაბიჯებსა სდგამს ფოთსა და ჭიათურაში წარმომადგენლობის მოსაწყობად. ამას დიდ მნიშვნელობას აძლევენ მარგანეცის გატანის საქმის მოწყობაში.

— გაგრის ქალაქის თვითმართველობა მთავრობის თავმჯდომარეს მიმართა შემდეგი შუამდგომლობით: 1) დაამტკიცონ ქალაქის გეგმა, 2) გადასცენ ქალაქს კლიმატიური სადგური მთელი თავის დაწესებულებებით და წარმოებებით. 3) მისცენ ქალაქს შეპირებული დახმარება. ქალაქთა კავშირი თავის მხრივ მხარს უჭერს ზემოაღნიშნულ შუამდგომლობას.

— რკინის გზელთა ცხოვრება. გზათა დეპარტამენტის საბჭოში შეტანილია მოხსენება განსაზღვრული თანხის გადადების შესახებ სად. ფოთში საბარგო განყოფილებისა და ბარგის შესანახ საწყობის ასაშენებლად.

— გზათა დეპარტამენტში აღიძრა საკითხი სად. ლანჩხუთის ელექტრონით განათების შესახებ. ამ მიზნით მოითხოვენ განსაკუთრებულ თანხის გადიდებას.

— ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში. ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსის ცნობით ოზურგეთის მაზრის სოფ. ზემოხეტში გაუხსნიათ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. განყოფილებაში ჯერ ჯერობით მხოლოდ საფოსტო ოპერაციები ხდება.

— სავაჭრო სამრეწველო პალატა. სავაჭრო სამრეწველო პალატის განსაკუთრებულ სხდომაზე ბათომის განყოფილებისათვის სახელმძღვანელო წესი შეიმუშავეს. თანახმად ამ წესისა პალატის ბათომის განყოფილებამ უნდა დააკმაყოფილოს, როგორც საერთო ისე კერძო პირთა და იმ წარმოებების ინტერესები, რომლებიც ბათომში და ბათომის ოლქში სავაჭრო სამრეწველო საქმიანობას ეწევიან. პალატის ბათომის განყოფილებამ საერთოდ უნდა იხელმძღვანელოს სავაჭრო სამრეწველო პალატის წესდებით. განყოფილებას ეძლევა უფლება კომისიების დაარსებისა. მაგალითად მას ეძლევა უფლება საარბიტრაჟო, იურიდიულ, ტეხნიკურ და სხვა კომისიების დაარსებისა. პალატის განყოფილების ორგანო არის საბჭო.

— დღეს, საღამოს 7 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნების მეტყველ აგრონომ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. წრის წევრი ალ. სანაძე წაიკითხავს მოხსენებას:

„რქიან საქონლის მოშენების სხვა და სხვა მეთოდები.“ მოხსენება წაიკითხება გეოგრაფიის აუდიტორიაში. დასწრება არა წევრებსაც შეუძლიანთ.

— ახალი წიგნები: რედაქციამ მიიღო გამომცემლობა „ნორჩი საქართველო“ს ახალი წიგნები:

1. ლეო ქიაჩელი—ნატვრის თვალი (ზღ.პარი).
2. პროფესორი იოსებ ყიფშიძე—მეგრული ზღაპრები.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის 151 ნომერში ბ. დოცემუსის წერილში სწერია: „დღეს არავინ იცის ვინ უფრო სპეკულიანტობს: ბანკი, კერძო ვაჭარი, მთავრობა, მუნიციპალიტეტი, ერობა თუ ბ-ნი თ. ღლონტი თავის კოოპერატივ „დახმარებაში“. უნდა იყოს: „ბ-ნი თ. ღლონტი თავისი კოოპერატივ „მეურნეში“.

სასამართლოში.

საქმე გენ. მაზნიაშვილის და სხვ.

გუშინ, 19 ნოემბერს ტფ. სამხედრო სასამართლოში დაიწყო საქმის გარჩევა სამართალში მიცემულ გენ. მაზნიაშვილის, გენ. ჯიჯიხიას შტ. კაპ. კ. ნაზარიშვილის შტ. როტმ. მამულაიშვილის და უნტერ-ოფიცრის კანდელაკისა. სასამართლოს თავმჯდომარეობს პოლკ. ე. მაჩაბელი. ბრალსა სდებს სამხედრო ბრალმდებელი მირიანაშვილი. საბრალმდებლო აქტი უკვე გვქონდა დაბეჭდილი გაზ. „საქართველო“ გუშინწინდელ №-ში.

ბრალდებულთ იცავენ: გენ. მაზნია-ჯიჯიხიას—ნაფ. ვექილი ნ. ელიავა და თევზაია. მამულაიშვილს და კანდელაკს—ნაფიცი ვექ. ბარათაშვილი, ნაზარიშვილს—ნაფ. ვექილი არსენიშვილი.

თავმჯდომარის შეკითხვაზე სცნობენ თუ არა ბრალდებულნი თავს დამნაშავედ, ყველანი უარს აცხადებენ და თავს დამნაშავედ არა სცნობენ.

სასამართლო იწყებს ამის შემდეგ საქმის გამოძიებას.

სასამართლომ ჯერ ჯერობით დაჰკითხა შემდეგი მოწმენი: სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი პოლკ. გველესიანი და მთავრობის რწმუნებული ახალციხეში ლ. რუხაძე. მოწმეთა დაკითხვა გრძელდება.

თავდაცვის გარშემო.

დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის და გვარდიის მთავარ შტაბის ინიციატივით 17 ნოემბერს შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრენ საზოგადოებრივ ორგანიზაციების პოლიტიკურ პარტიების და ფრაქციების და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროს წარმომადგენლები. თათბირზე გაირჩა საკითხი ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის არჩევისა. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეულია ა. ჩხენკელი. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდენ ქალაქთა და ერობათა კავშირების, თბილისის ქალაქის თვითმართველობის, სავაჭრო სამრეწველო პალატის და პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლები.

პროფესიონალური ცხოვრება. თბილისის პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა დამფუძნებელი კრებისა და სახალხო გვარდიის მთ. შტ. მიერ განზრახულ თავდაცვის კომიტეტში თავის წარმომადგენლად გაგზავნონ გრ. აბდუშელი.

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს 7-ს საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში, შესდგა ფრონტის დამხმარე მთავარ—კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრენ სხვა-და-სხვა საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რიცხვით 80. თავმჯდომარეობდა ბ-ნი ს. ჟორჟოლიანი, რომელმაც განუმარტა კრებას გეგმა მომავალი მუშაობისა და აღნიშნა, რომ ჯარი იმ ჟამად ფრონტზე იმყოფება და საჭიროებს ჩვენგნით დახმარებასო. ხანგრძლივი სჯა—ბაასის შემდეგ კრებამ დაადგინა: მოხდეს დამატებითი არჩევნები. რის შემდეგ მთავარ—კომიტეტში არჩეულ იქმნენ: ნ. თავდგირიძე, ი. იმედაშვილი, დიმ. დუმბაძე ქ-ნი სიმონოვისა, ქ ნი პიპინაძისა, ბ. სულხანოვი, ბ. ანდრონიკაშვილი, ს. ტარუაშვილი, არ. რუხაძე, ა. ჟუჟუნაძე, ი. ლაბაძე, ბ. ცერცვაძე, ქ ნი ლორთქიფანიძისა, ლ. შურღაია, ბ. თულაშვილი, ბ. ჯაშიშვილი და ჩიქოვანი!

შემდეგ არჩეულ იქმნა სხვა და სხვა სექციები, რიცხვით რვა. სახლეში შეგროვილ ნივთების საწყობის გამგებად არჩეულ იქმნენ ქ-ნი ძიძიშვილისა და მაისურაძე. საღამოების, კონცერტების და წარმოდგენების გამმართველ კომისიაში დიმ. დუმბაძე, ტ. ტაბიძე, ი. იმედაშვილი, ქ-ნი მამაშვილისა და ს. ტარუაშვილი. კრებას დაესწრო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი ვ. ჯუღელი, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ჟორჟოლიანმა მხურვალე სიტყვებით მიმართა და უსურვა მას სრული გამარჯვება მტერზე კრება დაიხურა საღამოს 11 საათზე.

ბათომის ოლქის მუსლიმანთა საგანგებო თათბირი

(გაგრძელება)

იხ. „საქართველო“ № 151.

ოლქის საგანგებო რწმუნებულმა გრ. გიორგაძემ, სხვათა შორის სთქვა:

„მთავრობის აზრი, მოქალაქენო, თქვენ მოისმინეთ. ეს არის აზრი—კულტურული, მშვიდობიანი და ხალხის საკეთილდღეო, თუ ადგილობრივი პირობები ხელს არ შეუშლიან. თქვენი ზრუნვა უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, თუ როგორც გააკეთოთ გზები, ააგოთ სკოლები და საავადმყოფოები, შეანელოთ სასურსათო გაჭირვება და საზოგადოთ იზრუნოთ ხალხის კეთილდღეობისათვის. მე დავალებული მაქვს გავიგო თქვენი საჭიროებანი და ხელი შეუწყო თქვენივე დახმარებით ოლქის ბედნიერებას. ხალხი თქვენი დამჯერი იქნება, ის თქვენ გამოგყვებათ და რასაც თქვენ ეტყვით იმისი მომხმედი იქნება.

საგანგებო რწმუნებულთან შესდგება სათათბირო საბჭო, რომელშიაც შევა მეჯლისი, ქალაქის თვითმართველობის და ოლქის სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენელნი, რომლის მოვალეობა იქნება მე დამხმარონ.

სულეიმან აბაშიძე (მეჯლისის წევრი) ბატონებო! თქვენს ნალაპარაკევიდან მე გავიგე, რომ საქართველოს მთავრობა უყურებს ჩვენს ხალხს, როგორც თურქოფილებს, მაგრამ მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩვენმა ხალხმა სთქვა—თუ ოსმალეთი შემოვა საწირავს გადვიხდი, მაგრამ თუ წავა ორს მივსცემ. მთავრობა გვთხოვს აგენტების გაცემას, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული არა ვართ, რომ ჩვენგან მოცემული აგენტები ხვალ განთავისუფლებულნი არ იქნებიან. მთავრობა მათ აპატიებს და ეს კი ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს ხალხს.

კრების განახლებისას მამ. დ შეჰ-აბა-

ოიც თანხმობას აცხადებს დააკმაყოფილოს მთავრობის ყველა მოთხოვნილებანი და ხელი შეუწყონ ოლქის გაჯანსაღებას, მხოლოდ შუამდგომლობენ დაპატიმრებულ პირთა შესახებ და მათ განთავისუფლებას მოითხოვენ.

შინაგან საქმეთა მინისტრი პირდება დაპატიმრებულთა სიის გადათვალიერებას და უდანაშაულო პირების განთავისუფლებას, მხოლოდ დამნაშავე პირების შესახებ შუამდგომლობას კრებისას არ იწყნარებს.

მინისტრი საბოლოო სიტყვაში მოუწოდებს ოლქის წარმომადგენლებს მყუდროებისაკენ და წესიერებისაკენ.

სიძვირე და მასთან ბრძოლა.

წერილი მეორე

(დასასრული *)

რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ ჩვენ დაგვრჩა დიდი, რამდენიმე მილიარდის ქონება ძველი საფასით. მთელს ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოს დედა-ქალაქში დაგროვილი იყო აუარება საქონელი, მაგ., პურეული, შაქარი, ფართლეული, ტყავეული, რკინეული, [illegible]ნები, ავტომობილები, სააფთიაქო წამლები და სხ. ამ საქონლით გაჭედილი იყო საინტენდანტოს, ქალაქთა და ერობათა კავშირის, წითელი ჯვრისა და რკინის გზის ვრცელი საწყობები. ეს უამრავი ქონება ვხარჯეთ და ვფლანგეთ ორი წლის განმავლობაში ე. ი. ეს უდიდესი ქონება ვერ მოვიხმარეთ, ერთიანად გაიქურდა და გაიფლანგა ორს წელში. მალე გამოილია ყველაფერი, დაიცალა კერძო ვაჭართა მაღაზიებიც და დაგვჭირდა ევროპიდან საქონლის შემოტანა, რადგან შიგნით მცირე რამ გაგვაჩნდა და რაც ფაბრიკა-ქარხნები იყო, ისიც შეჩერებული და დაზიანებული. აი, ამ ევროპიდან საქონლის მოთხოვნამ გაამწვავა საქმე, დასცა შინ და გარეთ ჩვენი ბონების ღირება, წარმოშვა მით უცნაური სიძვირე და ფინანსიური კრიზისი. ევროპას ვერ ვაწვდიდით საქონლის სახით მის მ[illegible]ც კი, რასაც ვთხოვდით მას, ვერ ვაძლევდით აგრეთვე ვერც ოქროს ფულს. აი, ამ მოვლენამ დაუკარგა ევროპიელის თვალში ჩვენს ბონებს რწმენა, დავკარგეთ კრედიტი, ამან გააძვირა მათი ვალიუტა. ამას დაერთო კიდევ ჩვენი ყალბი და თითქმის ბოლშევიკური ფინანსიურ-ეკონომიური პოლიტიკა კერძო ქონებათა ჩამორთმევით და რეკვიზიციებით, მუშათა საკითხის მოუწყობლობით, შინა მრეწველობის დაცემით და ჩვენი თამასუქების (ბონების) ღირება სრულიად განადგურდა; ჩვენი მანეთი დაუტოლდა 1 მეათედ კაპიკს, თუმანი კი 1 კაპიკს.

ყველამ ვიცით თუ რას მოასწავებს ასეთი მოვლენა...

აქამდე კიდევ სულს ვითქვამდით ძველად, კაი დროს იაფად დაგროვილ-დამზადებულ ნაწარმოებით, მაგ., ღვინით, კონიაკით, შავი ქვით, თამბაქოთი, პარკით და მატყლით. ესენი გაგვქონდა და გაგვაქვს უცხოეთში. ერთი ვიკითხოთ, რა მოხდება, როცა ეს საქონელიც გამოგველევა?! და ეს მოვლენა შორს არაა. ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ. ცუდათ მოწყობილმა სამონოპოლიო აპარატმა დაამხო უკვე აფხაზეთში თამბაქოს წარმოება; თამბაქოს სახით დაეკარგა ერს ყოველ წლობით 10—12 მილიარდის ქონება ევროპაში გასატანი. ამასვე უქადიან შავ ქვას, მატყლს, აბრეშუმს, ღვინოს და კონიაკს.

ჩვენი მუშის შრომის ნაყოფიერების დიდათ დაცემისა და მუშის ხელფასის ფრიად აწევის გამო ახლად დამზადებული ზემო აღნიშნული ნაწარმოები ჩვენშივე დაჯდება ისე ძვირად, რომ ვერ გაუწევენ მეტოქეობას მსოფლიო ბაზარზე ამგვარ სხვა ქვეყნების ნაწარმოებთ. ამის შემდეგ მოგველის ან გაველურება რუსეთივით, ან ფინანსიურ-ეკონომიური და მით პოლიტიკური მონობა ევროპის რომელიმე სახელმწიფოს ხელში... აი, ჩვენი ბოლო, თუ ახლავე არ ვიზრუნეთ და არ მივიღეთ სასტიკი ზომები.

ერი მდიდარია და ბედნიერი არა ნაცარცვით, არამედ თავის ნაშრომით. ესპანია დაიღუპა მაშინ, როცა აღმოაჩინა ამერიკა და იქიდან გადმოზიდა აუარება ოქრო. ამ ოქრომ მიაჩვია ესპანელი სიზანტეს, ბედოვლათობას, ქეიფს და უსაქმურობას. დაუშვეს უცხოეთიდან ზიდვა საქონლის. ეს ოხრად ნაშოვარი ოქრო მალე გაიფლანგა, მალე გადავიდა უცხოელთა ხელში, თვითონ კი დარჩნენ მშიერნი და ღატაკნი. ჩვენც სწორედ ასე გვემართება. რუსეთის ნაოხარმა დიდმა ქონებამ აგვირია გონება, დაგვიკარგა მოსაზრება, გაგვაზარმაცა და მიგვაჩვია უთავბოლო ფლანგვას. ამას ზედ დაერთო კიდევ ჩვენი ფაბრიკის მუშების და მათი ბელადების მოპოვებული უფლებებით ერთგვარი შეზარხოშება. ამ მხრით ჩვენი მუშა სრულიად გადაეჩვია შრომა და ბეჯითობას. ის უფრთხის სამუშაოს, ის გაურბის საქმეს, ის თხოულობს მხოლოდ მეტს და მეტს ხელფასს, იგი განებივრებული ბავშვია, მას არავის ეშინია, არავის ერიდება, ის მრეწველის ბურჟუის ბატონია მან კარგათ იცის, რომ ჰყავს ძლიერი მფარველები, თავის მიერ არჩეული მთავრობა და დამფუძნებელი კრება.

ასევე დაემართა რუსეთის პროლეტარიატს.

მილიარდების ქონება ცარიზმის ნაოხარი და ბურჟუა-მემამულეთაგან წართმეული, 2 3 წელიწადში მოსპო, დაფლანგა, გაცვითა და გაანიავა ეს უამრავი ქონება და დღეს „ბოსიაკათ“ ქცეული, გაველურებული, ტიტველ-შიშველი და მშიერ-წყურვალე დატანტალებს რუსეთის შარა-გზებზე და ტიალ მინდვრებზე... ალვირ ახსნილმა, დისციპლინა დაკარგულმა და შრომას გადაჩვეულმა რუსის მუშამ ვერ ისარგებლა სოციაური მთავრობით, ვერ მოიხმარა ბურჟუებიდან ჩამორთმეული ქარხანა-ფაბრიკები და სახელოსნოები. დღეს ლენინ-ტროცკიმ და სრულიად რუსეთის კომუნისტებმა უკვე ხცნეს თავის დიდი შეცდომანი, სცემენ დეკრეტებს, მართავენ მიტინგებს, ქმნიან შრომის რაზმებს, აარსებენ 10 საათს სამუშაო დღეს, იწვევენ საშველად მათგანვე დევნილ ბურჟუებს, სცდილობენ განებიერებული, შრომას გადაჩვეული მუშა დაუბრუნონ მუშაობას, და წყებინონ კვლავ ნაყოფიერი მუშაობა, ვინაიდან უამისოდ იღუპება ქვეყანა, მაგრამ ყველაფერი რჩება ამაოდ. მუქთახორობის, უმუშევრობას შეჩვეული კომუნისტები აღარ უბრუნდებიან შრომას. რუსეთი განიცდის საბედისწერო მომენტს; უკვე გაკოტრდა რუსის ბოლშევიზმი; მან ხალხში დაკარგა წრმენა და პრესტიჟი; მას ვერ უშველა დეკრეტებმა, ტერორმა, წითელმა რაზმა და „ჩრეზვიჩაიკამ“. ბოლშევიკებმა თავის სოციალისტურ ექსპერიმენტებით ვერ მოსპეს ბურჟუაზია, ვერ დაამყარეს რუსეთში კომუნისტური სამოთხე, მხოლოდ შექმნეს უსაზღვრო სპეკულიაცია და საშინელი სიძვირე, დასცეს საარაკოდ ბონების ღირება, ხელი შეუწყვეს რუსეთის იმპერიის დაშლასა და მსხვრევას, ხელი შეუწყეს რუსის ხალხის სიმხეცეს და გაველურებას წარმოშვეს აუტანელი შიმშილი და სიტიტვლე. აქედან კი მთელს რუსეთს მოედვა სხვა და სხვა ჭირი, სნეულებანი და მილიონობით სთიბავს გაჭირვებულ ხალხს. ბნელი, საშინელი ჯოჯოხეთი დამყარდა მთელს რუსეთში, ამ სოციალიზმის სამყოში; განადგურდა სოფლები, განადგურდა ქალაქები, მოისპო კულტურის ნაშთები, განახევრდა ხალხი, გაველურდა ქვეყანა. რუსეთი უკვე გადაიჩება ჯურღუმლში და იქიდან ხსნა აღარაა. მას უნდა დაეპატრონოს ან რომელიმე უცხო სახელმწიფო, ან უნდა აღდგეს ისევ ძველი რუსეთის ბნელი მტარვალი ცარიზმის სახით თავის ხიშტით, მათრახით და პოლიციელით. აი, რუსეთის და რუსის ხალხის ახლო მომავალი! ლენინ-ტროცკები კი გამოიცვლიან სახელს, გამოიკრავენ დიდ აბგებში მილიონი ოქროებს და მოკურცხლავენ ევროპაში, ამერიკაში არ მიიმალებიან სამდმე აზიის კუნჭულში...

ვუფრთხილდეთ, რომ ჩვენც იგივე არ დაგვადგეს, რაც უკვე ადგება დიდ რუსეთს!..

ყოველი ერის და სახელმწიფოს ბედნიერება, კეთილდღეობა და წინსვლა სავსებით დამყარებულია მის ქონებაზე, მის ნივთიერ დოვლათზე. ამ ქონებას და ნივთიერ სიმდიდრეს კი ჰქმნის გლეხი, მუშა, ერის შეერთებული ენერგია. და რამდენად უფრო ნაყოფიერია მშრომელთა მასის შრომა და ჯაფა, იმდენად მეტია დაგროვილი სიმდიდრე. შრომის ნაყოფიერობა კი უმთავრესად დამოკიდებულია მუშის ფიზიკურ ძალ ღონეზე, მის შეგნებაზე, შრომის უნარზე, მუყაითობაზე და კარგ მანქანა-იარაღებზე. აი სწორედ ამ შრომის უნარის, ტეხნიკის და ნაყოფიერობის წყალობით მოახდინეს თვით სასწაული ევროპის ერებმა, განსაკუთრებით კი მწირე მიწის და სასტიკ ბუნების პატრონმა ბელგიელმა, გერმანელმა, შვეიცარიელმა, შვედმა, ნორვეგიელმა, ფინმა, იაპონელმა, და შექმნეს დიდი ქონება, ძლიერი ტეხნიკა, უზენაესი კულტურა და ცივილიზაცია. დღეს თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ შეგნებით და ტეხნიკით აღჭურვილი ბელგიელი ან გერმანელი მუშის დღიური შრომის ნაყოფიერობა ხუთჯერ და ათჯერ უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი, ქართველი მუშის, ე. ი. თუ 8 საათის მუშაობით ქართველი მუშა დღეს ძველი ღირებით გააკეთებს 1 მანეთის საქმეს, ბელგიელი ან გერმანელი მუშა იმავე დროს განმავლობაში დაამზადებს ხუთი და ათი მანეთის საქონელს. თითქმის ასევე ნაყოფიერია ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის და სხვა კულტურულ სახელმწიფოთა მუშები. აქედან აშკარად სჩანს, რომ ჩვენს მუშას არ შეუძლია გაუწიოს მათ მეტოქობა.

ჩვენს მეურნეს თუ მრეწველს დღეს ასე ძვირად უჯდება ნაწარმოები, ჩვენი მუშის უნაყოფობისა და დიდი ხელფასის გამო, რომ ყოვლად შეუძლებელია მათ გაიტანონ მსოფლიო ბაზარზე ეს ნაწარმოებნი, იქ გაასაღონ და ნაცვლად შემოიტანონ იქაური ფაბრიკატები. ეს ვრიად ცუდი და სამწუხარო მოვლენა უკვე შეამჩნიეს უცხოეთის კაპიტალისტებმა და ამიტომ უფრთხიან ჩვენში ჩამოსვლას, დიდი კაპიტალის დაბანდებას და მით დიდი მრეწველობის გაჩაღებას, რაც განუზომელ სარგებლობას მოუტანდა ქართველი ერის ნივთიერ და მით ფინანსიურსა და პოლიტიკურ კეთილდღეობას. პირიქით მცირდება და იკეტება ის მცირეოდენი ქარხანა ფაბრიკები კი, რომლებიც კიდევ არსებობენ და სულს ღაფავენ ჩვენში. და ასეთი საშინელი მოვლენის უმთავრესი მიზეზია მუშათა საკითხის ცუდათ დაყენება, ალვირ ახსნილი მადა სხვა და სხვა მოთხოვნილებათა წამოყენების და ხელფასის მომატების შესახებ, რაც მომაკვდინებელ ზიანს აძლევს უწინარეს ყოვლისა თვით ამ მუშებს და მათ ბელადებს, მათ ნივთიერ ცხოვრებას, პოლიტიკურ წყობილებას და თავისუფლებას.

ჩვენი მუშები და მათი მესვეურნი, სავალალოდ, ვერ გრძნობენ, რომ ისეთი საქციელით ისინი სჭრიან იმ ტოტს, რომელზედაც სხედან.

ვინაიდან ცხადია, რომ ერის თუ სახელმწიფოს ეკონომიკა და ფინანსები ყოფილა დამყარებული ერის ნივთიერ დოვლათზე, ამ დოვლათს კი ქმნის მუშა, მშრომელი მასსა. მაშ მთავარი ღერძი სახელმწიფოს ფინანსიურ-ეკონომიურ კეთილდღეობისა ყოფილა მუშა, მუშის შეგნება და შრომის ნაყოფიერება.

მაშ მუშის საკითხს, მუშის ასეთ მხარეებს უნდა მიექცეს ჩვენი უმთავრესი ყურადღება. თუ შევძელით ჩვენი მუშის შეგნება, მუშის მავნე მადისა და თვითნებობის ალაგმა, მუშის შრომის ნაყოფიერობის სამჩნევი მომატება, და მანქანა ტეხნიკით აღჭურვა, მაშინ ჩვენი რესპუბლიკის ხსნა ეკონომიურ ფინანსიურ კრახისაგან უზრუნველყოფილია, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო ვარდება დიდ საფრთხეში და მოელის ისეთივე დაღუპვა, როგორც რუსეთს...

ხიმონ ქვარიანი.

თეატრი და ხელოვნება.

ქართული დრამა.

მცირე შენიშვნა

ქართული დრამის გასაცოცხლებლად სულ უბრალო რამ ყოფილა საჭირო:

ჩვენი მსახიობების უმჯობეს პირობებში ჩაყენება!

ქართველ საზოგადოებაში ქართველ მსახიობს პატივი არა ჰქონდა!

ქართველი მსახიობები ჩვენ ერთგვარ პრიმიტივებად გვეჩვენებოდნენ:

სკოლა არ აქვთ, ტეხნიკა არ უვარგათ, კულტურა აკლიათ...

აბუჩად აგდებული ქართველი მსახიობი, ყოველივე ხახსარს მოკლებული, მშიერი და მწყურვალი, ტანდაფლეთილი გერი იყო საქართველოისა:

საქართველოს სატახტო ქალაქში ქართველ მსახიობს... თეატრში არ უშვებდნენ...

მოხდა პოლიტიკური სასწაული, რომელსაც ხმა მისცა ცხოვრებამ მთელის შინაარსით!

კულტურა აღორძინდა! აყვავდა ხელოვნება! გაშუქდა მელპომენას საკურთხეველიც!

დღეს ველარ იცნობთ ქართველ მსახიობს: რამდენიმე თვის მანძილზე მან „შეითვისა“ ყველა ის, ურომლისობასაც ასე აყვედრიდა მას უმადური საზოგადოება: ქართველმა მსახიობმა ცხადზე უცხადესად დაგვიმტკიცა, რომ მას სკოლაც გაუვლია, ტეხნიკაც დაუძლევია და კულტურასაც ჰზიარებია!

ასეთია ჩვენი შთაბეჭდილება ქართული დრამის წარმოდგენებიდან.

აბა უყურეთ, რა სიამაყით და წელგაშლით გამოდიან სცენაზე ჩვენი მსახიობები!

„ყველაფერი ფიზიკაშია“—ო, ამბობს „ჰოფმანის ხიზმრების“ ერთი გმირი!

„ყველაფერი გარემოებაშია, მოწყობილობაში, გარეგან პირობაში“: ყველა ეს მივეცით ქართველ მსახიობს და, მგონი, არ შევცდით.

მე ამ მცირე შენიშვნაში აზრად არა მაქვს შევეხო ქართულ დრამას საზოგადოთ, არსებითად: ქართული დრამა ეხლა მხოლოდ იწყებს კულტურულ ხანას და გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვს. ჯერ პროცესსია ცხოვრებიხა, ძიებაც დაუმთავრებელია და დასკვნა, მაშასადამე, უდროოა...

ამ ორიოდ სიტყვას მე ვწერ ქართული დრამის უკანასკნელი წარმოდგენის მომჯადოებელ შთაბეჭდილებაში მყოფი: თუ არ ვცდები, მესამედ მიდიოდა შალვა დადიანის „გუშინდელნი“... ასეთი მწყობრი, შეთანხმებული, ლამაზი და ნიჭიერი წარმოდგენა უკანასკნელ წლებში არ გვინახავს ქართულ სცენაზე. ეს წარმოდგენა იყო უნაკლო, გაზვიადების გარეშე: ეტყობა რეჟისსორის მზრუნველი ხელი, მსახიობთა სიყვარული და გატაცება. თეატრის უხვი მოწყობილობა და შესაფერი ტეხნიკური პირობები საკმარისი ყოფილა, რომ დამუნჯებული და დახუთული ქართველი მსახიობი ამეტყველებულიყო და „გასწორებულიყო“.

პრესსის შენიშვნებს როგორც სჩანს, უშედეგოდ არ ჩაუვლია ბევრს შემთხვევაში.

როგორ „თამაშობდნენ“ მსახიობნი? განა ეს „თამაში“ იყო!? ცხოვრება—ნამდვილი და ბუნებრივი—აი რა ვიხილეთ ჩვენ ქართული დრამის 18 გიორგობისთვის საღამოს!

ვინ აღვნიშნოთ, რომელი მსახიობი? შეუდარებელი გელოვანი—თავადი კოწია, კორიშელი—„კლიაუზნიკი“ გლეხი, ვასაძე—„სტრაჟნიკი“ მეგრელი, მურუსიძე—მამასახლისი?—ესენი ხომ საუცხოვო ტიპებს იძლეოდნენ.

კერძოდ მ. გელოვანზე: კულუარებში ამბობდნენ, რომ ამ მსახიობს კარგი მომავალი აქვსო! მე მგონია, რომ ის დღესაც ქართულ სცენის დამშვენებლად ჩაითვლება!

„ტალანტი“ მიცემული—მოგებით უბრუნდება ქართველ ხალხს...

ინ.

სამხატვრო ქრონიკა.

სახელმწიფო ოპერის თეატრში.

ნოემბრის 20-ს მუშებისთვის „ალი“

ნოემბრის 21-ს: „კოპპელია“

ნოემბრის 22 ს: მეორედ ქართულ სცენაზე „ღალატი“ მუსიკა იპოლიტოვ-ივანოვისა, თარგმანი ფოცხვერაშვილისა. სიუჟეტი ნაღებულია ალ. სუმბათაშვილის ცნობილ ტრაღედია „ღალატიდან“. ზეინაბის როლს შეასრულებს ალეშკო, რუქაიას—ბურაგო ცეხანოვსკაია, ირაკლის—სარაჯიშვილი, ოთარბეგის—ელიოზაშვილი, სულეიმანის—საბინინი. დეკორაციები და კოსტიუმები ახალი; ბალეტს დადგამს მ. მორდკინი, ოპერას დადგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორი—სტოლერმანი.

დასაწყისი 8 საათ.

სახელმწიფო დრამის თეატრში.

ნოემბრის 20-ს: „უგვირგვინო მეფენი“ ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები და ტანისამოსი მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა, აკ. ფალავას რეჟისორობით.

ნოემბრის 21-ს: „მსხვერპლი“ ი. გედევანიშვილისა. ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი—ა. წუწუნავა.

სახალხო სახლში.

ნოემბრის 20 ს: „სულელი“

ამ დღეებში გამოვა ლიტერატურული ჟურნალი „აისი“ № 2 ლადო მაჭავარიანის რედაქტორობით.

შრომის სამინისტროში.

ქალაქ თბილისის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატს. შენიშნულია, რომ ფაბრიკა-ქარხნების და სხვა კერძო დაწესებულებების შინაგანი (ადგილობრივი) კომიტეტები დაუდევრად ეკიდებიან სიების და სხვა საბუთების შედგენის საქმეს და ჯეროვან ყურადღებით არ ეპყრობიან. შეაქვთ სიებში ისეთი მოსამსახურეები, რომელთაც თავის ჯამაგირის და თანამდებობის მიხედვით არა აქვთ უფლება ისარგებლონ მომარაგების ფონდის იაფფასიანი სურსათ-სანოვაგით; სიების შედგენის დროს ადგილობრივ არ ირკვევენ მუშა-მოსამსახურის ოჯახის წევრთა შემადგენლობას და ეყრდნობიან მუშა-მოსამსახურის პირად განცხადებას, რომელიც, რასაკვირველია, დაინტერესებულია მეტი რაციონის მიღებაში და შეცდომაში შეყავს კომიტეტი; აძლევენ მოწმობებს, იმის შესახებ, რომ ესა თუ ის ნათესავი მუშისა და მოსამსახურისა მის ხარჯზედ სცხოვრობს, მაშინ, როდესაც შემდეგი კვლევა-ძიება ამტკიცებს, რომ ნაჩვენები ნათესავი სცხოვრობს ან სხვის ხარჯზედ, ან და თვით მსახურებს და თავს საკუთარი შრომით ირჩენს. არის ისეთი შემთხვევებიც, რომელიც სრულიად უარყოფს მუშა მოსამსახურეთა საქმიანობის უნარს. ასეთ არა სასურველ და დასაგმობ შემთხვევებად ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ყორღანოვის და ამხ. ელექტრონის სადგურის მუშები, რომელნიც პურს და სხვა სურსათ-სანოვაგეს თვით გამქირავებელ ყორღანოვსაც უნაწილებენ; შეუტანიათ ყორღანოვი სიაში და ჯამაგირის რაოდენობაც-კი განუსაზღვრიათ, თვეში 1000 მან. და სხვა და სხვა. ადგილობრივი კომიტეტების ასეთი დაუდევრობა საქმისადმი დიდ გაუგებრობას იწვევს საქმეში; ერთი და იგივე პირი ორ ალაგას იღებს სურსათ-სანოვაგეს სხვა და სხვა დაწესებულების საშუალებით; ულუფით უკანონოთ სარგებლობენ დამქირავებელნი და მრავალი სხვა, რომელთაც არა აქვთ უფლება მიიღონ სურსათ-სანოვაგე. გარდა იმისა, რომ ეს დაუდევრობა კომიტეტებისა ზარალს აყენებს სახელმწიფოს, ზარალობენ თვით მუშებიც. მუშათა მაგიდა მიაპყრობს რა თქვენს ყურადღებას ადგილობრივი კომიტეტების უმოქმედობა-დაუდევრობას და მათ შედეგებს გთხოვთ გააფრთხილოთ ისინი, რომ ამიერიდან მაინც ფრთხილად ეკიდებოდნენ საქმეს და სიების შედგენის და მოწმობების გაცემის წინასწარ შეამოწმონ (ადგილობრივ) მუშა მოსამსახურის წევრთა რაოდენობა და არავითარ შემთხვევაში არ შეიტანონ სიაში დამქირავებელნი და ისეთი პირნი, რომელთაც თანამდებობის მიხედვით არ აქვთ უფლება ისარგებლონ მომარაგების ფონდით.

(ს. დ. ხ.).

ჩვენი კორესპონდენტები

ქ. ლანჩხუთი.

ამ დღეებში ლანჩხუთი ვინახულე. თვითმართველობას ბაზარი გაუნათებია, მაგრამ ლაშის ღელე ისე შემოსდგომია მთელს ქალაქს, რომ ქუჩაში გავლა გამიჭირდა. ზოგიერთ მოსახლეებს ეზოში ისე შესვლია წყალი, რომ იძულებული [illegible]

მოსწყვიტოს ქალაქს შეგუბებულმა წყალმა. ლაშის ღელეზე უწინ ზოგან საფეხური ხიდი მაინც იყო, რომ მშრალად გასულიყო კაცი, ეხლა არც ის არის (წყალს წაუღია) და ნამდვილი ხიდის გაკეთებას ქალაქის გამგეობა ჯერ არ სცნობს საჭიროდ. გამგეობა საბჭოს კრებას კი ნიშნავს თურმე ხშირ-ხშირად მაგრამ დანიშნულ დროზე თვით არ მო-

ხომ არ შეუდგებიან საქმეს და უკმაყოფილოდ სახლში ბრუნდებიან.

ამ ბოლო დროს ქალაქის მიდამოებში ქურდობაც კი გახშირებულა სხვა სიკეთეს გარდა. მაგ. გაუქურდავთ ქალაქის საწყობი და წაუღიათ რამოდენიმე ათეული ათასების საქონელი. გაუქურდავთ კერძო სავაჭრო სახლებიც მცხოვრებლებშიაც გახშირებულა ინდოურისა და ქათმების ქურდობა, მაგრამ ვერსად ვერც ერთი დამნაშავეთაგანი ვერ აღმოუჩენიათ.

რას მივაწეროთ ყველა ეს? საქმიანობას, თუ უსაქმობას?

17 ოქტომბერს ტიტე მარგველაშვილის ადგილობრივ თეატრში წაუკითხავს ლექცია. სხვა და სხვა თანამედროვე კითხვები მშვენივრად გაუშუქებია. საზოგადოება გულ დახმით უსმენდა. იყვნენ სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლებიც. ლექციის დასასრულს ორატორს მოუწოდებია დამსწრე საზოგადოება შეკითხვებზე და კამათზედაც, მაგრამ არავის არ უსურვებია არც ერთი..

ზევაკელი.

იძულებითი განმარტება*)

(კაპიტან ალ. გორგაძის წერილის გამო „საქართველო“ № 150)

როდესაც სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციამ ჟურნალის პასუხის მგებელ რედაქტორად მიმიწვია, სიამოვნებით ვიკისრე ეს თანამდებობა და საქმესაც მაშინვე შეუდექ. ეს იყო მაისში. მას მერე უკვე 24 ნომერი გამოვიდა ჟურ. „მხედრის“, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ პირადად მე კმაყოფილი არა ვარ ჟურნალით, და იგი როგორც შინაარსის, ისე ტეხნიკურის მხრივ, ძალიან შორს არის ჩემის იდეალისაგან: შინაარსის მხრივ ხელს მიშლის თანამშრომელთა ფართე წრის უყოლობა, ტეხნიკურის მხრივ კი-დღევანდელი აუტანელი სიძვირე და სექციის ხელმოკლეობა. ამას ისიც ერთვის, რომ ჟურნალის მთელი სამუშაო და პასუხის მგებლობაც მხოლოდ ჩემზეა მონდობილი.

ასეთს პირობებში ჩემთვის ძვირფასია ყოველი რიგიანი თანამშრომელი და დიდათაც ვაფასებ მათ, თუმცი უმრავლეს მათგანს პირადად არ ვიცნობ.

სამწუხაროდ პირადად ვიცნობ კაპიტან ალ. გორგაძეს. შეხედულებით წარმოსადეგი, ჯანსაღი, მწითური ყმაწვილია, გულიც ერჩის საქმისათვის, მწერლობის ლიტინი განუზომელი აქვს, საუბარისა უფრო მეტი. მაგრამ ყველა ამ ღირსებასთან ერთად უცნაური ზნეც ჰქონია, რომელიც დღეს განსაკუთრებით გამოამჟღავნა ჩემდა მიმართ შეკითხვაში. აქ ყოველი სიტყვა უცნაურობაა, მეტი რომ არ ითქვას. 1) მე თურმე მისთვის „ოფიციალურად“ განმიცხადებია რომ „კატეგორიული ბრძანება მივილე“ სექციის „ზოგიერთ წევრებისაგან“ ჟურნალში არ იმეჭდებოდეს“ კაპიტან ალ. გორგაძის წერილები.

ასეთს საქციელს სექციის წევრები არც იკადრებდნენ და ვერ მაკადრებდნენ.

2) კაპიტანი ალ. გორგაძე სწერს „მიკვირს რამ აიძულა ზოგიერთი წევრი, რომ ჩემი ღირსეული წერილები არ დაბეჭდილიყოს, ზედმეტია რასაკვირველია, უღირს წერილებსე ლაპარაკიც.

ე. ი. კაპ. ალ. გორგაძის სიტყვები რომ გადავთარგმნოთ გამოვა, რომ მე არ დამიბეჭდავს მისი „ღირსეული წერილები“ თორემ „უღირს წერილებზე ის ხმასაც არ ამოიღებდა. გავახსენებ კაპ. ალ. გორგაძეს, რომ მისი ღირსეული წერილები „მხედარში“ არის დაბეჭდილი შემდეგ ნომრებში: 1, 2, 7, 9, 13, 14 და 15. მას მერე ამ ორი თვის განმავლობაში კაპიტან ალ. გორგაძეს არავითარი წერილი არ გადმოუცია ჟურნალისთვის, მაშასადამე, ვერც დაიბეჭდებოდა. მაგრამ სექციაში დარჩენილია მისი ორი „უღირსი წერილი“ მაისის აქეთ, რომლებიც არ დაიბეჭდა და კაპიტან ალ. გორგაძის სიტყვით არც უნდა დაბეჭდილიყო როგორც უღირსი. თუმცა რედაქციაში ასეთ წერილებს აღარ ინახავენ ხოლმე, მაგრამ კაპიტან ალ. გორგაძის ეს წერილებიც კი შენახულია და მისთვის არავის არ უთქვამს წაღებაზე უარი. ვის რათ უნდოდა? დარწმუნებული უნდა იყოს კაპიტანი ალ. გორგაძე, რომ მის წერილებს მისი თერმინოლოგიით ისიც უღირს არავინ არ მიითვისებს და თავისად არ გაასაღებს.

მაგრამ საიდან წარმოსდგა კაპიტან ალ გორგაძის ფსიხოლოგიაში ასეთი იჭვიანობა? ამაში მცირეოდენი ბრალი უსათუოდ მიმიძღვის და უნდა საჯაროდ ვაღიარო: კაპიტანი ალ. გორგაძე მეტათ ხალისიანი მოსაუბრეა, მაგრამ ხანდახან აჭარბებს. ეს თვისება მწერლობაშიაც ემჩნევა. როდესაც რაიმე ასეთ „ნაწარმოებს“ არ დაუბეჭდავთ, სულის სიმშვიდე ეკარგება, ალბათ ვინმე მეღობება წინ, ჩემი ნიჭის დახშობა უნდა, გზას არ მაძლევს, თორემ რატომ არ იბეჭდება ჩემი „ღირსეული წერილები“. აი ამისთანა აბეზარ საუბრის დროს, ჩემს ბინაზე, სექციაში თუ ქუჩაში, შესაძლებელია განვუცხადე კიდეც, რომ იმისი წერილების ბეჭვდა აკრძალული მაქვს მეთქი, მაგრამ სექცია აქ არაფერ შუაშია.

მეორეც, კაპიტან ალ. გორგაძეს ცოტა განდიდების მადა უნდა მოსდევდეს და დევნილობითაც რომ არის შეპყრობილი, უტყუარია. საიდან წარმოიშვა ან ერთი ან მეორე?

რთული ფსიქოლოგიური საკითხია, მაგრამ შეიძლება მცირე ნათელი მოჰფინოს ამ საკითხს ერთმა გარემოებამ, რომელიც შესაძლებელია კაპიტან გორგაძეს აღარც კი ახსოვდეს:

პატივცემულ მგოსნის გიორგი ქუჩიშვილის გადმოცემით, ვინმე კაპიტანს ალ. გორგაძეს ვანო სათაშვილმა გადასცა სამხედრო ჟურნალში დასაბეჭდად პატარა მოთხრობა, რომელიც ამ კაპიტანის ხელში „დაიკარგა“. ვ. სათაშვილის გარდაცვალების შემდეგ ეს მოთხრობა „შაგულას“ სათაურით ცალკე წიგნაკად დაიბეჭდა სულ სხვა ავტორის გვარით და ეს გვარი ძალიან ჰგავს ალ. გორგაძეს. არ ვიცი ეს გორგაძე კაპიტანი ალ. გორგაძეა, თუ მისი მოგვარე?

ამ ამბის შემდეგ უფრო ნათლად მესმის იჭვიანობა კაპიტან ალ. გორგაძისა მისი დევნილობის და წერილების მითვისების თაობაზე.

დასასრულ უნდა გავაფრთხილო ვინმე ხანში შესული პოლკოვნიკი ასათიანი, რომელმაც რამდენჯერმე წერილობით და პირადათ მომმართა და მთხოვა დამებრუნებინა მისთვის ამ სიბერის დროს დაწერილი მისი პირველი და უკანასკნელი ორი ლექსი. ეს ლექსები მე არ მინახავს. ბ-ნ ასათიანს გადაუცია კაპიტან ალ. გორგაძისათვის. ვაფრთხილებ პოლკ. ასათიანს, დროზე მოიკითხოს თავისი ლექსები, თორემ შეიძლება, ვისიმე სახელით დაიბეჭდოს.

ჟურ. „მხედრის“ რედაქტორი:

ნ. კურდღელაშვილი.

---

*) რედაქცია ამ საგნის შესახებ სპობს ყოველგვარ კამათს.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი სპ. კედია.

თვალების ავადმყოფების
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—16სხ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 17—49.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა
№ 3208.

ყოფილი 1 [illegible]
ი. გ. ქუთათელა
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ნველებს. ცხენის ქოთაოს (საპ) კვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ცხვრის სასულე—მილას ავათმყო ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ თოდებით. ვიძლევი დარიგებას ოტენზიაზე“ (საქონლის მოვლა ნება). დილის 9—10 საათ. და 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 30,

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგან სნეულებათა მყოფებს დილის 8—12 ს. ვენერი სიფილისი (შეშხაპუნება 606 და საშ. რდე ორგანოთა საღ. 5—7 გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. თხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 32

დაბრუნდა და განაახლა ავადმყო მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანანჯ ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 320

მატარებელთა მიმოსვლ

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10 53
მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 14
მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10 37
მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 20
მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღში დილის 9
მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7 45
მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 30

თბილისში მოდ ს.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდ საღ. 10 ს. 27
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46
მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის მის 12 ს.
თბილისში მოდის დღის 2 ს. 13
მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისისკენ გადის მის 12 ს. 58
მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისისკენ მოდის მის 2 ს. 16
თბილისში მოდის დილის 8 ს.
მატარებ. № 141.
სალოღლიდან თბილისისკენ გა დილის 9 ს 10
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36
მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის ლის 8
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53
მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის 4 ს. 2

სამობილიზაციო.

განცხადება.

იმ რთულ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებში მთავრობამ დაადგინა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მისი თავისუფლების დასაცავად ნაწილობრივი

მობილიზაცია.

ამ მიზნით გაწვეული იქნებიან ჯარში რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომი სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრენი

დაბადებულნი

890, 1891, 1892, 1893 წლებში.

ხსენებულ წლებში დაბადებულნი სათადარიგო ჯარის-კაცნი და მოლაშქრენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ თბილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვაგზლის ქუჩა) ამა წლის 10 ნოემბერს დილის 10 საათზედ ჯარში წასასვლელად.

გაწვევისაგან განთავისუფლება და ვადის გადადება სამოქალაქო სამსა რზე მყოფ მოლაშქრე და სათადარიგო პირთა მოხდება 1915 წელში გამოცე მულ „სამხედრო ბეგრის დებულების“ 33 მუხლის დამატების მიხედვით რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს ამა წლის 11 მაისის დადგენილების მე 3 ხლის 1, 2, 3, 4 და 5 პუნქტების თანახმად. (გაზ. „საქართველოს რესპუბ კა“ 1920 წ. № 103) რომელთაც უნდა წარმოადგინოს სათანადო მოწმობე

სამოქალაქო, საზოგადო და კერძო სამსახურზე მყოფ მოლაშქრე და თადარიგო პირნი: რომლებიც თანამდებობის მიხედვით არ თავისუფლდე გაწვევისაგან, უნდა დაუყონებლივ იქმნენ დათხოვნილნი სამსახურიდან. ველ შემთხვევაში არა უგვიანეს 2 დღისა დღიდან მობილიზაციის გამოცხა ბისა.

ამა წლის მორიგი გაწვევა (დაბადებული 1900 წელ გადადებულია მთავრობის განსაკუთრებულ განკარგულებამდ

1920 წელი 9 ნოემბერი

თბილისის ქალაქის გ მე